



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული  
ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის მე-4 სემესტრის სტუდენტის

**მარიამ გელაშვილის**

სამაგისტრო ნაშრომი

თემაზე:

**დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში (შედარებით-  
სამართლებრივი ანალიზი)**

ხელმძღვანელი: პროფესორი, სამართლის დოქტორი

**ლალი ფაფიაშვილი**

ტელ: 591 12 49 14

ელ. ფოსტა: [mariam.gelashvili@mof.ge](mailto:mariam.gelashvili@mof.ge)

თბილისი

## 2019 წელი

### სარჩევი:

სარჩევი.....	2
გამოყენებული აბრევიატურა.....	3
შესავალი.....	4-5
I. დაზარალებულის როლი და ადგილი სისხლის სამართალწარმოებაში.....	6
1.1. დაზარალებულის სტატუსი სისხლის სამართალწარმოებაში.....	6-8
1.2. დაზარალებული ინკვიზიციური სისხლის სამართლის პროცესში..	8-12
1.3. დაზარალებული შეჯიბრებით სისხლის სამართლის პროცესში..	12-15
II. დაზარალებულის უფლებები და მოვალეობები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით.....	16
2.1. დაზარალებულის უფლებები და მოვალეობები 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით.....	16-24
2.3. დაზარალებულის უფლებები და მოვალეობები 2010 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით.....	24-32
III. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული ხარვეზები და გამოწვევები დაზარალებულის ცალკეულ უფლებებთან დაკავშირებით.....	32
3.1. პირის დაზარალებულად ცნობა.....	32-40
3.2. საქმის მასალების გაცნობისა და სისხლის სამართალწარმოების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება.....	40-42
3.3. გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის გადანყვეტილების გასაჩივრების მექანიზმი.....	42-45
3.4. მტკიცებულებების წარდგენის უფლება.....	45-47
IV. საერთაშორისო გამოცდილება დაზარალებულთან მიმართებით..	47-51
დასკვნა.....	52-53
ბიბლიოგრაფია.....	53-55

### გამოყენებული აბრევიატურა

1. ა.შ - ასე შემდეგ;
2. იხ. - იხილეთ;
3. რედ. - რედაქტორი;
4. გვ. - გვერდი;
5. გაერო - გაერთიანებული ერების ორგანიზაცია;
6. ზ/ა - ზემოთ აღნიშნული.

## შესავალი

2010 წელს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში მოხდა რევიზიური რეფორმა, რის შედეგადაც ძალაში შევიდა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. აღნიშნული რეფორმით ცვლილებები განიცადა არაერთმა ფუნდამენტურმა საკითხმა. პირველრიგში, აღსანიშნავია ის, რომ ინკვიზიციური სისხლის სამართლის სისტემიდან გადავდით შეჯიბრებით სამართალწარმოებაზე.

რეფორმის შედეგად მივიღეთ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც საერთო სამართლის სისტემის მქონე ქვეყნებში მოქმედი სისტემების მსგავსად შეჯიბრებით ანუ მხარეთა თანასწორობაზე დამყარებულ სამართლებრივ პროცედურებს გვთავაზობს.

ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა ბევრი პროგრესული სიახლე გაითვალისწინა, მათ შორის, აღსანიშნავია ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, რაც უზრუნველყოფს საზოგადოების დიდ ჩართულობას მართლმსაჯულების პროცესში. ასევე, პროგრესული სიახლის სახით, ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა შემოგვთავაზა, ბრალდებულისა და ზოგადად, დაცვის მხარის გაზრდილი უფლებამოსილება, რაც, თავის მხრივ, რა თქმა უნდა, უზრუნველყოფს დაცვის მხარის პოზიციების განმტკიცებასა და ბრალდებულისთვის მეტ სამართლებრივ გარანტიებს.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის რეფორმა შეეხო დაზარალებულსაც და ძირეულად შეცვალა დაზარალებულის როლი სისხლი სამართალწარმოებაში. თუკი, მრავალი წლის განმავლობაში, დაზარალებული იყო სისხლის სამართლის პროცესის აქტიური მხარე, ახალი საპროცესო კოდექსით მისი უფლებები მინიმუმამდე იქნა დაყვანილი.

მართალია, 1998 წლის კოდექსით გათვალისწინებული დებულებათა თანახმად, დაზარალებული, როგორც დანაშაულის მსხვერპლი გვევლინებოდა მეორე ბრალდმდებლად და მეორე პროკურორის ადგილსაც იკავებდა, რაც არ უნდა იქნას გამართლებული, თუმცა, ახალი კოდექსის თანახმად, მნიშვნელოვნადაა შემცირებული მისი ინტერესებისა და უფლებების დაცვის სამართლებრივი გარანტიები,

რაც არ შეესაბამება სისხლის სამართლის თანამედროვე პოლიტიკასა და სტანდარტებს.

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დაზარალებული ნაცვლად პროცესის მხარისა გახდა მხოლოდ და მხოლოდ პროცესის მონაწილე. აღსანიშნავია, რომ მოქმედ პრაქტიკაში, ხშირად ხდება ისე, რომ დაზარალებულები იმ უფლებებითაც კი ვერ სარგებლობენ, რომლებსაც მათ კანონი ანიჭებს, როგორც სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეებს. წინამდებარე ნაშრომში მოტანილი არაერთი მაგალითი აჩვენებს, რომ შესაბამის პირებს უარს ეუბნებიან დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე, ხოლო მათ, ვისაც ასეთი სტატუსი აქვთ, ხშირ შემთხვევაში, არასრულად, დაგვიანებით ან საერთოდ არ მიენიჭებათ ინფორმაცია მიმდინარე გამოძიებასთან დაკავშირებით, რაც დაზარალებულებისა და მათი უფლებამონაცვლეების მონაწილეობას სისხლის სამართალწარმოებაში მინიმუმამდე ამცირებს. დაზარალებულთა ჩართულობის გარეშე გამოძიებისა და ზოგადად, მართლმსაჯულების განხორციელების კანონიერება ხშირად, შესაძლოა, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს. წინამდებარე ნაშრომში, ასევე, განხილულია ის ხარვეზები, რაც მოქმედ კანონმდებლობაში დაზარალებულის უფლებებისა და მოვალეობების მომწესრიგებელ ნორმებთან დაკავშირებით არსებობს. ასევე, ნაშრომში განხილულია, თუ როგორ აწესრიგებდა 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი დაზარალებულის უფლებებსა და მოვალეობებს და როგორ აწესრიგებს იმავე საკითხებს 2010 წელს მიღებული ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. განხილულია ის დადებითი და უარყოფითი ფაქტორები, რაც ახასიათებდა დაზარალებულის პროცესის მხარის როლში ყოფნას და რაც ახასიათებს დაზარალებულის სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის სტატუსს.

წინამდებარე ნაშრომის პირველ თავში განხილულია დაზარალებულის როლი და ადგილი სისხლის სამართალწარმოებაში, კერძოდ, პირველ ქვეთავში განხილულია სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის ამა თუ იმ სტატუსთან დაკავშირებული დადებითი და უარყოფითი მხარეები, მეორე ქვეთავში განხილულია დაზარალებული ინკვიზიციური სისხლის სამართლის პროცესში, ხოლო მესამე ქვეთავში საუბარია დაზარალებულის როლზე შეჯირებით სისხლის სამართლის პროცესში. მეორე თავში განხილულია დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, კერძოდ, მეორე თავის პირველ ქვეთავში განხილულია დაზარალებულის უფლებები და მოვალეობები 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, ხოლო მეორე ქვეთავში განხილულია დაზარალებულის უფლება-მოვალეობები მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით. მესამე თავში განხილულია ის ძირითადი ხარვეზები, რაც არსებობს დაზარალებულის სამართლებრივ მდგომარეობის მომწესრიგებელ ნორმებთან დაკავშირებით, კერძოდ, მესამე თავის პირველ ქვეთავში განხილულია პირის დაზარალებულად ცნობა და მასთან დაკავშირებული პრაქტიკული პრობლემები, მეორე ქვეთავში განხილულია დაზარალებულის მიერ საქმის მასალების გაცნობისა

და სისხლის სამართალწარმოების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება, მესამე ქვეთავში განხილულია გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმი და მასთან დაკავშირებული ხარვეზები, რაც თავს იჩენს ხოლმე პრაქტიკაში, ხოლო მეოთხე ქვეთავში განხილულია დაზარალებულის მიერ მტკიცებულებების წარდგენის უფლება, რომელიც მას მოქმედი კანონმდებლობით არ გააჩნია. მეოთხე თავში განხილულია საერთაშორისო გამოცდილება დაზარალებულთან დაკავშირებით, კერძოდ, განხილულია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიდგომები დაზარალებულის სამართლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

## **I. დაზარალებულის როლი და ადგილი სისხლის სამართალწარმოებაში:**

### **1.1. დაზარალებულის სტატუსი სისხლის სამართალწარმოებაში**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1998 წლის კოდექსით დაზარალებული გვევლინებოდა, როგორც სისხლის სამართლის პროცესის აქტიურ მხარედ, რომელსაც გააჩნდა ფართო პროცესუალური უფლებამოსილება, რაც ქვემოთ დაწვრილებით იქნება განხილული; ამასთან, დაზარალებულს კანონმდებლობით მინიჭებული ჰქონდა სისხლის სამართლის პროცესში ინტერვენციის ფართო შესაძლებლობები; კერძოდ, დაზარალებულს უფლება ჰქონდა, მოეთხოვა პროცესის მონაწილის აცილება, დაეყენებინა შეამდგომლობა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ან/და მოეთხოვა საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობის უფლება. მას უფლება ჰქონდა შეუზღუდავად გასცნობოდა როგორც საქმის მასალებს, ასევე, საქმეზე არსებულ ნივთიერ მტკიცებულებებს, ამასთან, მას უფლება ჰქონდა წარედგინა მტკიცებულებები სისხლის სამართლის საქმეზე. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, დაზარალებული საჯარო სისხლის სამართლის დევნის საქმეებზე გვევლინებოდა როგორც სუბსიდიური ბრალმდებელი, რომელსაც შეეძლო პროკურორთან ერთად მიეღო მონაწილეობა პროცესში და უფლებამოსილი იყო წარმოედგინა ბრალდების მხარე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ პროკური უარს იტყოდა ბრალზე და დაზარალებული არ დაეთანხმებოდა, იგი დამოუკიდებლად ან/და თავისი წარმომადგენლის მეშვეობით განაგრძობდა ბრალმდებლის უფლებამოსილების რეალიზაციას, რომელიც კანონით ჰქონდა მინიჭებული. ამასთან, გარკვეული დანაშაულის შემთხვევებში, იგი იყო კერძო ბრალმდებელი, რაც იმას ნიშნავს, რომ პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა იწყებოდა მხოლოდ და მხოლოდ

დაზარალებულის საჩივრის შემთხვევაში და წყდებოდა დაზარალებულის მიერ საჩივარზე უარის თქმისას, გარდა, კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის საქმეებზე.

ის ფაქტი, რომ 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დაზარალებული წარმოდგენილია, როგორც სამართალწარმოების აქტიური მხარე არის ისტორიული ტრადიციის გაუაზრებელი გამეორება 1998 წლის კოდექსში; ვინაიდან, სახელმწიფო, რომელიც უნდა იყოს ერთადერთი სუბიექტი სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელებისას, აძლევს ბერკეტს კერძო პირს, რომელსაც უშუალო ზიანი მიადგა დანაშაულით, რომ განახორციელოს დამნაშავის დასჯა. დაზარალებულის ბრალმდებლის როლში ყოფნა ვერანაირად ვერ იქნება გამართლებული, ვინაიდან, მისმა უშუალო და ავტონომიურმა მონაწილეობა დამნაშავის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების პროცესში, შეიძლება გამოიწვიოს მხოლოდ და მხოლოდ სისხლისსამართლებრივი დევნის, გამოძიებისა და ზოგადად, მართლმსაჯულების ლეგიტიმაციისა და ობიექტურობის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება.

სრულიად გაუგებარია, თუ რატომ უნდა ჰქონდეთ სახელმწიფო ორგანოებთან ერთად დანაშაულის დევნის უფლება ასევე კერძო პირებსაც, რომლებიც, როგორც წესი, ცალმხრივად თავიანთი ინტერესების დაკმაყოფილებისკენ მიისწრაფვიან და რომელთა ინტერესები და შეხედულებები ხშირ შემთხვევაში ობიექტურობის ვალდებულებით შეზღუდული სახელმწიფო ორგანოების პოზიციისგან განსხვავდება. ვინაიდან დაზარალებული უმეტესწილად პირადი ინტერესების დაკმაყოფილებისაკენ მიილტვის, სავსებით შესაძლებელია, იგი თავისი ფართო პროცესუალური უფლებამოსილებით მატერიალური ჭეშმარიტების დადგენის ხელისშემშლელადაც გვევლინებოდეს.<sup>1</sup>

გარდა ამისა, გამოძიებასა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაში დაზარალებულის ინტენსიურმა მონაწილეობამ შესაძლოა, ხელი შეუშალოს პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიერ სიმართლის დადგენას. ვინაიდან, 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, დაზარალებულს ენიჭებოდა, ასევე, მონაწილის უფლება მოვალეობები. ამასთან, მას უფლება ჰქონდა შეუზღუდავად გასცნობოდა სისხლის სამართლის საქმის მასალებს, რაც მას აძლევდა შესაძლებლობას გასცნობოდა სისხლის სამართლის საქმის მასალებს და მასთან შესაბამისობაში მოეყვანა მის მიერ სისხლის სამართლის საქმეზე მიცემული ჩვენება. ხშირ შემთხვევაში, დაზარალებული არის ხოლმე დანაშაულის ერთადერთი მონაწილე (ძირითადად სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში), შესაბამისად, ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი დაზარალებული მოახერხებდა თავისი ჩვენების მორგებას სასამართლოში სხვა გამოკვლეული მტკიცებულებების შედეგებზე და ამით შეძლევდა საკუთარი ჩვენების

<sup>1</sup> გ. თუმანიშვილი, დაზარალებული თანამედროვე სისხლის საპროცესო სამართალში, სამართლის ჟურნალი N2, 2009, 75;

შინაარსში ყველა წინააღმდეგობის აღმოფხვრას, რითაც იგი მის მიერ მიწოდებული ინფორმაციის სანდოობის ხარისხს აამაღლებდა და საბოლოოდ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას არსებით ზიანს მიაყენებდა. ამასთან, ამ უფლების რეალიზაციას, შესაძლოა არასამართლიანი ზიანი მიეყენებინა დაცვის მხარის პოზიციისთვისაც, ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაზარალებული შესაძლოა ყოფილიყო ერთადერთი მონმე საქმეზე, შესაბამისად, მას შეეძლო, ისეთი ჩვენება მიეცა საქმეზე, რომელიც შეთანხმებული იქნებოდა საქმის სხვა ფაქტობრივ გარემოებებთან, რაც მისცემდა მას შესაძლებლობას საქმისთვის მიეცა მისთვის ხელსაყრელი მსვლელობა.

ყველაფერთან ერთად, დაზარალებულს, როგორც სისხლის სამართლის პროცესის აქტიურ მხარეს, უფლება ჰქონდა, განეცხადებინა პროცესის მონაწილის აცილება, ასევე, დაეყენებინა შუამდგომლობა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ და გაესაჩივრებინა პროკურორისა ან/და გამომძიებლის ესა თუ ის ქმედება და გადაწყვეტილება, მიღებული სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით. აღნიშნული, გამოიწვევდა სისხლის სამართლის პროცესის არასამართლიან გაჭიანურებას, ვინაიდან, დაზარალებული არის მიკერძოებული - არაობიექტური პირი, რომლის მიზანიცაა სამაგიეროს მიზღვა და მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება და არა საჯარო მართლწესრიგის დაცვა. შესაბამისად, მის მიერ დაყენებული შუამდგომლობები საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ, დიდი ალბათობით, ემსახურება არა საჯარო წესრიგის დაცვას და სიმართლის დადგენას, არამედ შურისძიებას, ვინაიდან, ნებით თუ უნებლიეთ, მას დამნაშავე პირის მიმართ სუბიექტური დამოკიდებულება აქვს. ამასთან, საერთოდ არ იყო აუცილებელი, დაზარალებულს წინასწარი გამოძიების ეტაპზე ჰქონოდა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ შუამდგომლობების დაყენების უფლებამოსილება, ვინაიდან, მას ენიჭებოდა მონმის უფლება/მოვალეობებიც, რაც მას აძლევდა შესაძლებლობას, მონმის სახით დაკითხვისას, პროცესის მწარმოებელი უფლებამოსილი პირისთვის მიეწოდებინა ის ძირითადი და აუცილებელი ინფორმაცია, რომელიც გამომძიებელსა და პროკურორს დაეხმარებოდათ მიეცათ სწორი მსვლელობა საქმისათვის.

თუმცადა, ამ ყველაფერთან ერთად უნდა შეფასდეს დაზარალებულის ის სტატუსიც, რაც 2010 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა შემოგვთავაზა. ფაქტობრივად, დაზარალებული არა პროცესის აქტიური მხარე, არამედ უფლებრივად გამომწვეული სამართლებრივი სუბიექტია, რომელსაც მინიჭებული ჰქონდა ძალიან მწირი უფლებები და ფაქტობრივად, მისი სამართლებრივი მდგომარეობა იყო მონმის სამართლებრივ მდგომარეობასთან გაიგივებული. მართალია, გაუმართლებელია დაზარალებულის ბრალმდებლის როლში ყოფნა, თუმცა, ერთის უარყოფამ არ უნდა გამოიწვიოს მეორე უკიდურესობა. კანონმდებლობის მიდგომა დაზარალებულს სამართლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით უნდა იყოს ბალანსირებული. მიზანშეწონილია, დაზარალებულს სისხლის სამართლის პროცესში მისი ლეგიტიმური ინტერესებისა და უფლებების



შესატყვისი პროცესუალური შესაძლებლობები მიენიჭოს, რათა ჰქონდეს თავისი კონსტიტუციური უფლებების დაცვის შესაძლებლობა და დაცული იყოს მის ძირითად უფლებებში გაუმართლებელი ჩარევისგან.

## 1.2. დაზარალებული ინკვიზიციური სისხლის სამართლის პროცესში

თითოეული ქვეყანა სხვადასხვანაირად მიისწრაფის სამართლიანი და თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი სამართალწარმოების სისტემის შესაქმნელად. აქედან გამომდინარე, თითოეულ ქვეყანას აქვს და ჰქონდა განსხვავებული მიდგომები სამართალწარმოების საკვანძო საკითხებთან მიმართებით, რაც თავისთავად, იწვევს განსხვავებული სამართალწარმოების ფორმების ჩამოყალიბებას.

დღეის მდგომარეობით, მსოფლიოს სამართლის სისტემებში არსებობს ორი ძირითადი ფორმა სისხლის სამართალწარმოებისა: ინკვიზიციური სამართალწარმოება და შეჯიბრებითი სამართალწარმოება. თუმცა, ასევე, არსებობს მესამე ფორმა - ეს არის შერეული სამართალწარმოების ფორმა, რომელიც შეიცავს ორივე ფორმის - ინკვიზიციურისა და შეჯიბრებითი პროცესის ელემენტებს.

ინკვიზიციური, იგივე სამძებრო, პროცესი მონათმფლობელურ საზოგადოებაში წარმოიშვა და ფართოდ გავრცელდა აბსოლუტიზმის ეპოქაში.<sup>2</sup> ინკვიზიციური პროცესი დამახასიათებელია კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის მქონე ქვეყნებისათვის. საგამოძიებო (ინკვიზიციური) პროცესში საქმის გარემოებათა გამოკვლევის პრივილეგია არა მხარეებს, არამედ სისხლის სამართლის საქმის მწარმოებელ სახელმწიფო ორგანოებს ეკუთვნის. როგორც გამოძიება, ასევე, სასამართლო პროცესი ატარებს ინკვიზიციურ ხასიათს. სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოს აკისრია ვალდებულება *ex officio* გამოარკვეოს ბრალდებულის მამხილებელი და ასევე, გამამართლებელი გარემოებები. შეჯიბრებითი პროცესისგან განსხვავებით, მოსამართლე დამოუკიდებლად ატარებს სრული მოცულობით სასამართლო გამოძიებას და ამ გზით ადგენს ე.წ. „მატერიალურ ჭეშმარიტებას“. საქმის განმხილველი მოსამართლე განხილვის დროს არ იზღუდება მხარეთა შუამდგომლობებითა და მოსაზრებებით. იგი უფლებამოსილია და ამავდროულად, ვალდებულიც, ჭეშმარიტების დასადგენად მოიპოვოს და გამოიკვლიოს ყველა მნიშვნელოვანი მტკიცებულება, მათ შორის, ისინიც, რომელიც მხარეებს არ წარმოუდგენიათ, არ გამოუთხოვიათ და არ წამოუდგენიათ სასამართლოში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინკვიზიციური სისხლის სამართლის პროცესი დაზარალებულს წარმოუდგენს, როგორც პროცესის მხარეს. იმ შემთხვევაში, თუკი, იგი არ იქნებოდა

<sup>2</sup>დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, ავტ. კ.ფ. გუცენკო, ლ.ვ. გოლოვკო, ბ.ა. ფილიმონოვი, რედ. ქ. შიუკაშვილი, თბილისი 2007წ, 12;

ინკვიზიციური სისხლის სამართლის პროცესის მხარე და შესაბამისად, ვერ ისარგებლებდა მხარისთვის დამახასიათებელი ფართო პროცესუალური უფლებებითა და შესაძლებლობებით, მაშინ, მოსამართლის ამ უფლების რეალიზაცია მნიშვნელოვანი სამართლებრივი გარანტი იქნებოდა მისი, როგორც პროცესის მონაწილის - მცირე სამართლებრივი უფლებების მქონე პროცესის სუბიექტისთვის. ვინაიდან, მოსამართლე, ამ შემთხვევაში, არის მიუკერძოებელი, ობიექტური პირი, რომელიც თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე ადგენს მატერიალურ ჭეშმარიტებას, რომელიც სავსებით მისაღები უნდა იყოს დაზარალებულისთვის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანია, დაზარალებულს ჰქონდეს იმ სამართლებრივი გარანტიები, რომელიც უზრუნველყოფს მისი კონსტიტუციური უფლებებში არალეგიტიმური ჩარევისგან დაცვას, თუმცა, სავსებით მიუღებელია დაზარალებულის სისხლის სამართალწარმოების მხარის როლში ყოფნა. შესაბამისად, მოსამართლის ეს უფლებამოსილება, რომელიც აძლევს მას საშუალებას, თავისი შეხედულებისამებრ, ჩაატაროს სასამართლო გამოძიება და მოიპოვოს ჭეშმარიტების დადგენისთვის აუცილებელი ყველა მტკიცებულება, უკვე ქმნის დაზარალებულისთვის მყარ სამართლებრივ გარანტიას, რომ მისი კონსტიტუციური უფლებები არ იქნება დარღვეული და ამ შემთხვევაში, მოსამართლე იქნებოდა ამის გარანტორი, რა თქმა უნდა, იმ უკანასკნელ შემთხვევაში, როდესაც პროცესის მწარმოებელი უფლებამოსილი პირები ვერ შეძლებდნენ დაზარალებულის კონსტიტუციურ უფლებებში არალეგიტიმური ჩარევისგან დაცვას.

საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც კონტინენტური სამართლის პრინციპებს განამტკიცებდა, საჯარო სისხლისსამართლებრივ დევნასთან ერთად სუბსიდიურ, კერძო-საჯარო და კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოებასაც ითვალისწინებდა.<sup>3</sup> სისხლის სამართლის პროცესის პირველი მუხლში, რომელიც ეხებოდა სისხლის სამართლის პროცესის ამოცანებს, პროცესის სხვა მონაწილეებთან ერთად, ითვალისწინებდა დაზარალებულის ინტერესებისა და უფლებების დაცვას.

1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, მას შემდეგ, რაც დანაშაულის მსხვერპლს პროცესის მწარმოებელი უფლებამოსილი პირი შესაბამისი აქტით - დადგენილება/განჩინებით სცნობდა დაზარალებულად, ეს უკანასკნელი პროკურორსა და ბრალდებულთან ერთად წარმოადგენდა პროცესის სრულყოფილებიან მხარეს; ამასთან, მას ეს სტატუსი სამართალწარმოების ყველა ეტაპზე უნარჩუნდებოდა.<sup>4</sup>

სისხლის სამართლის პროცესის განმახორციელებელი ორგანო მებღუდული და, გარკვეულწილად, დამოკიდებული იყო დაზარალებულის

<sup>3</sup>სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), მეორე გამოცემა, ავტორთა კოლექტივი, რედ. რეზო გოგუელიძე, თბილისი, 2009წ, 46;

<sup>4</sup> გ. თუმანიშვილი, დაზარალებული თანამედროვე სისხლის საპროცესო სამართალში, სამართლის ჟურნალი N2, 2009, 75;

ქმედებებსა და შეხედულებებზე. დაზარალებული იყო მხარე და იცავდა ბრალდების პოზიციას.

როგორც ვიცით, 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც ინკვიზიციურ ხასიათს ატარებდა, ითვალისწინებდა რამდენიმე სახის სისხლის სამართლებრივ დევნას; კერძოდ, სისხლისსამართლებრივი დევნა შეიძლება ყოფილიყო საჯარო, სუბსიდიური, კერძო-საჯარო და კერძო.<sup>5</sup>

სუბსიდიური სისხლისსამართლებრივი დევნის დროს, თუ პროკურორი უარს იტყობდა ან შეცვლიდა ბრალდებას და დაზარალებული არ დაეთანხმებოდა, საქმის განხილვა არ წყდებოდა და ბრალმდებლის როლში გვევლინებოდა დაზარალებული ან მისი წარმომადგენელი.<sup>6</sup> ეს ხდებოდა მხოლოდ სასამართლო განხილვის ეტაპზე და არა წინასწარი გამოძიებისას; თუმცა, აქ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მიუხედავად, იმისა, გააგრძელებდა თუ არა პროცესში მონაწილეობას პროკურორი, დაზარალებული და მისი წარმომადგენელი უფლებამოსულები იყვნენ მიეღოთ პროცესში მონაწილეობა და მხარი დაეჭირათ წინა ბრალდებისათვის. ამ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნა არ წყდებოდა, სასამართლოში საქმის განხილვა გრძელდებოდა, სადაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბრალმდებლად გვევლინებოდა დაზარალებული ან მისი წარმომადგენელი, ხოლო პროკურორი უფლებამოსული იყო, მონაწილეობა აღარ მიეღო საქმის შემდგომ განხილვაში, ვინაიდან, მას უკვე დაუფიქსირებული ჰქონდა თავისი პოზიცია.<sup>7</sup>

გარდა ამისა, კერძო ბრალდების საქმეებზე ( სსკ-ის 120-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული - ცემა, სსკ-ის 125-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული - ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება), სისხლისსამართლებრივი დევნა იწყებოდა მხოლოდ დაზარალებული საჩივრის საფუძველზე და წყდებოდა დაზარალებულისა და ბრალდებულის შერიგების შემთხვევაში. შერიგება შესაძლებელი იყო მოსამართლის სათათბირო ოთახში გასვლამდე, როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში.<sup>8</sup>

1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მიხედვით, კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა, ასევე, იწყებოდა მხოლოდ დაზარალებულის საჩივრის საფუძველზე, თუმცა, არ წყდებოდა დაზარალებულისა და ბრალდებულის შერიგებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა

<sup>5</sup>1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, (2006 წლის 28 აპრილის მდგომარეობით), მუხლი 23;

<sup>6</sup>1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, (2006 წლის 28 აპრილის მდგომარეობით), მუხლი 25;

<sup>7</sup>სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, 2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ზაზა მელიქიანი, ომარ ჯორბენაძე, თბილისი 2007; 88

<sup>8</sup>1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, (2006 წლის 28 აპრილის მდგომარეობით), მუხლი 27;

სისხლისსამართლებრივი დევნის გავრძელებას შეიძლება ზიანი მიეყენებინა დაზარალებულისთვის ან ბრალდებულისთვის.<sup>9</sup>

ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ დანაშაულს განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა, ამასთანავე, დაზარალებულს უმწეო მდგომარეობის ან ბრალდებულზე დამოკიდებულების გამო არ შეეძლო დაეცვა თავისი უფლებები და კანონიერი ინტერესები, პროკურორს უფლება ჰქონდა დაეწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, თუნდაც არ არსებულიყო დაზარალებულის საჩივარი, ოღონდ იმ პირობით, რომ ქმედუნარიან დაზარალებულს ამაზე წერილობითი თანხმობა ექნებოდა მიცემული.<sup>10</sup> - მიუხედავად იმისა, რომ პროკურორს შეეძლო, დამოუკიდებლად დაეწყო სისხლის სამართლებრივი დევნა საჯარო-კერძო ბრალდების საქმეებზე, მაინც, საჭირო იყო დაზარალებულის ნებართვა დევნის დასაწყებად. მიუხედავად იმისა, რომ საქმეზე არსებობდა საჯარო ინტერესი, სახელმწიფო ბრალმძებელი მაინც შეზღუდული იყო კერძო პირის პოზიციით, რასაც შესაძლოა გამოეწვია სახელმწიფოებრივი ინტერესის შელახვა და დაუსჯელობის სინდრომი. კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა იწყებოდა ისეთი მძიმე და ძალადობრივი დანაშაულების შემთხვევაში, როგორებიცაა გაუპატიურება (სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის პირველი ნაწილი), სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება (სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის პირველი ნაწილი), სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება (სისხლის სამართლის კოდექსის 139-ე მუხლი) და სხვა. ხსენებულ შემთხვევებში დამნაშავეთა კატეგორია იმდენად საშიშია საზოგადოებისთვის, რომ დაუშვებელია სახელმწიფოს კერძო პირის პოზიციის საფუძველზე ერთმოდეს ყველანაირი ბერკეტი, სამართლიანობის დასაცავად და დამნაშავეის დასასჯელად, როგორც ეს ხდებოდა 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოქმედების პერიოდში.

### 1.3. დაზარალებული შეჯიბრებით სისხლის სამართლის პროცესში

შეჯიბრებითი სისხლის სამართლის პროცესი ბრალდებითი (ინკვიზიციური) პროცესიდან განვითარდა და ფართოდ გავრცელდა ანგლოსაქსური სამართლებრივი სისტემის მქონე ქვეყნებში. მისი ამომავალი დებულება ეფუძნება იმ პოზიციას, რომ სისხლის სამართლის პროცესი ეს არის დავა სახელმწიფოსა და იმ პიროვნებას შორის, რომელიც სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაშია მიცემული ამა თუ იმ

<sup>9</sup>1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, (2006 წლის 28 აპრილის მდგომარეობით), მუხლი 26, ნაწილი პირველი;

<sup>10</sup>1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, (2006 წლის 28 აპრილის მდგომარეობით), მუხლი 26, ნაწილი მეორე;

დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის გამო. ამ დავაში ორივე მხარეს თანაბარი შესაძლებლობები ეძლევათ მტკიცებულებების შეკრების, წარმოდგენისა და გამოკვლევისათვის. შეჯიბრებითი პრინციპის არსიდან გამომდინარე, მიჩნეულია, რომ აღნიშნული თანაბარი შესაძლებლობები მხარეებს უნდა გააჩნდეთ, როგორც სასამართლოში მიმდინარე დავის დროს, ასევე, წინასასამართლო მომზადებისას, გამოძიების ეტაპზე.<sup>11</sup>

2009 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელმაც თვისობრივად ახლებურად მოაწესრიგა სისხლის სამართლებრივი წარმოების ზოგიერთი ფუნდამენტური საკითხი. კერძოდ, აღნიშნული კოდექსის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს სისხლის სამართლის პროცესში წმინდა შეჯიბრებითი მოდელის დამკვიდრება წარმოადგენდა, რაც სამართალწარმოების მხარეებს მისცემდა თანაბარ შესაძლებლობას, გავლენა მოეხდინათ მართლმსაჯულების განხორციელების მიმდინარეობაზე. სწორედ ხსენებული პრინციპის იმპლემენტაციის შედეგად მოხდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რიგი ნორმების შემოღება, რომლებმაც, ერთი მხრივ, აუკრძალა საქმის განმხილველ პირველი ინსტანციის სასამართლოს მტკიცებულებათა დამოუკიდებლად მოპოვება და გამოკვლევა, ხოლო სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებს კი, შეუზღუდა შესაძლებლობა, გასცდნოდნენ მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს.<sup>12</sup> რეფორმა შეეხო დაზარალებულის უფლებებსაც. სისხლის სამართლის ახალმა საპროცესო კოდექსმა გამოიწვია დაზარალებულისათვის მთელი რიგი უფლებების ჩამორთმევა და მისი უფლებრივი მდგომარეობა შეიცვალა პროცესის მონაწილის სტატუსით. განსხვავებით 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისგან მოქმედ სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებული აღარ მოიაზრება მხარედ და ძირითადად, მოწმის უფლება-მოვალეობებს იზიარებს. 1998 წლის საპროცესო კოდექსისგან განსხვავებით, დაზარალებულს აღარ აქვს სისხლის სამართლის პროცესის მსვლელობაში ჩარევის უფლება.

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 22-ე ნაწილის თანახმად, დაზარალებული არის სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა ან შეიძლება, მისდგომოდა უშუალოდ დანაშაულის შედეგად. შესაბამისად, ამ დებულების თანახმად, დაზარალებულად ცნობისთვის აუცილებელია ზიანის ან ზიანის მიყენების საფრთხის არსებობა; დაზარალებულის ცნება განუყოფლადაა დაკავშირებული ზიანის ცნებასთან, იქ სადაც არ არსებობს ზიანი ან ზიანის საფრთხე, არ არსებობს

<sup>11</sup>დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, ავტ. კ.ფ. გუცენკო, ლ.ვ. გოლოვკო, ბ.ა. ფილიმონოვი, რედ. ქ. შიუკაშვილი, თბილისი 2007წ., 13;

<sup>12</sup> ზაზა თავაშვილი, შეჯიბრებითობის პრინციპის ფარგლები სისხლის სამართლის საქმეებში: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილების ანალიზი, 2018 წლის 22 თებერვალი;

დაზარალებული.<sup>13</sup> თუმცა, ეს არ არის ერთადერთი საფუძველი, ვინაიდან, საპროცესო-სამართლებრივი თვალსაზრისით, დაზარალებული კანონით გათვალისწინებულ უფლებებს იძენს მხოლოდ მას შემდეგ, რაც პროკურორი გამოიტანს დადგენილებას მისი დაზარალებულად ცნობის თაობაზე.

ამასთან, ვინაიდან, გამოძიება მიმდინარეობს დანაშაულის შესახებ არსებული მტკიცებულებების მოპოვების მიზნით და დანაშაულის ჩადენის ფაქტის დადასტურება სასამართლოს პრეროგატივაა, პირის დაზარალებულად ცნობისთვის აუცილებელი არ არის დანაშაულის ჩადენის ფაქტის დადასტურება. პირის დაზარალებულად ცნობისთვის საჭიროა მხოლოდ ფორმალური და ფაქტობრივი საფუძველების არსებობა. ფორმალური, იგივე საპროცესო საფუძველი გულისხმობს პროკურორის დადგენილებას პირის დაზარალებულად ან დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის თაობაზე, ხოლო ფაქტობრივი საფუძველი გულისხმობს იმას, რომ პირს უშუალოდ დანაშაულის შედეგად მიადგა მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი.

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, დაზარალებული განიხილება როგორც მოწმე, კერძოდ, როგორც ბრალდების მოწმე და იგი აღარ არის ფართო უფლებებით აღჭურვილი პროცესის დამოუკიდებელი მხარე. თუმცა, მოწმისგან განსხვავებით, დაზარალებულს მიენიჭა ინფორმაციის მიღების უფლება საპროცესო მოქმედებების ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ. აღნიშნულ ინფორმაციას დაზარალებულს ატყობინებს პროკურორი, მისი მოთხოვნის შემთხვევაში.<sup>14</sup>

მას შემდეგ, რაც დანაშაულის მსხვერპლი უფლებამოსილი პირის მიერ შესაბამისი დადგენილების მიღების შემდგომ მიიღებს დაზარალებულის სტატუსს, მას აქვს უფლება, იცოდეს ბრალდებულისათვის წარდგენილი ბრალდების არსი; მიიღოს სისხლისსამართლებრივი დევნის ან გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების (განჩინების), განაჩენის და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების ასლი; მიიღოს განმარტება თავისი უფლება-მოვალეობების შესახებ. ამასთან, დაზარალებულს უნდა ეცნობოს ისეთი საპროცესო მოქმედებების ჩატარების დრო და ადგილი, როგორცაა: ბრალდებულის პირველი წარდგენა მაგისტრატ მოსამართლესთან, წინასასამართლო სხდომა, სასამართლოს მთავარი სხდომა, სასამართლო სხდომა სასჯელის შეფარდების შესახებ და სააპელაციო ან საკასაციო სხდომა. გარდა ზემოთ ხსენებული უფლებებისა, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოქმედებით განისაზღვრა დაზარალებულის უფლება, მიიღოს გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილების/განჩინების, განაჩენისა და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების ასლები. ასევე, მას უფლება აქვს, სამოქალაქო წესით წარადგინოს

<sup>13</sup> ანზორ მახარაძე, ზიანი, როგორც საფუძველი პირის დაზარალებულად ცნობისთვის, მართლმსაჯულება და კანონი N1, 2009წ, 58;

<sup>14</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, (2019 წლის 08 მაისის მდგომარეობით), მუხლი 58;

სარჩელი დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ. ამ ზიანის შესახებ, დაზარალებულს, ასევე, უფლება აქვს, სასამართლო პროცესზე წარადგინოს თავისი პოზიცია მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით, როგორც ზეპირად, ასევე, წერილობით. ასევე, უფლება ეძლევა, მიიღოს პროცესში მონაწილეობის ხარჯების ანაზღაურება.<sup>15</sup>

როგორც არსებული პრაქტიკა გვიჩვენებს, ხშირად აქვს ადგილი დაზარალებულის ხელახალ ვიქტიმიზაციას, ამიტომ, ახალმა სისხლის სამართლის პროცესმა გაითვალისწინა დაზარალებულის დამცავი მექანიზმი. იმ შემთხვევაში, თუ საფრთხე ემუქრება, როგორც დაზარალებულის, ისე მისი ახლო ნათესავის ან ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან/და საკუთრებას, მას შეუძლია მოითხოვოს დაცვის სპეციალურ ღონისძიებაში ჩართვა. ასეთ საშუალებას წარმოადგენს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება, რომელიც ეძლევა იყოს: მიკვლევის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, ვინაობის შეცვლა და ახალი დოკუმენტების გაცემა, უსაფრთხოების ზომების მიღება, საცხოვრებელი ადგილის დროებით ან სამუდამოდ შეცვლა და სხვა სახელმწიფოში გადაყვანა.<sup>16</sup>

ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა მრავალი პროგრესული სიახლე გაითვალისწინა. საქართველომ აირჩია შეჯიბრებით პროცედურებზე დაფუძნებული საერთო სამართლის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი მოდელი, რომელიც მიზნად ისახავს დაცვის მხარის პოზიციების განმტკიცებასა და ბრალდებულისათვის მეტი გარანტიების უზრუნველყოფას. თუმცა, შედეგად მიიღო დაზარალებულის შემცირებული უფლებები და თითქმის, არარსებული სამართლებრივი გარანტიები, რამაც გამოიწვია დაზარალებულის უფლებების გაფართოების აუცილებლობა. ახალ 2010 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დაზარალებილი გვევლინებოდა, როგორც პროცესის უუფლებო ობიექტი და არა, როგორც შესაბამისი პროცესუალური შესაძლებლობებით აღჭურვილი პროცესის აქტიური სუბიექტი, ამიტომ, 2014 წელს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ძალაში შევიდა ცვლილებები, რომლებმაც საგრძნობლად გააუმჯობესა დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა და გაითვალისწინა მეტი სამართლებრივი გარანტია დანაშაულის მსხვერპლისათვის.

2014 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად, დაზარალებულს მიეცა შესაძლებლობა, გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში, გაასაჩივროს პროკურორის ცალკეული გადაწყვეტილებები სასამართლოში. ამასთან, იმ პირს, რომელსაც დანაშაულის შედეგად გარკვეული ზიანი მიაღდა, შეუძლია, მიმართოს პროკურორს დაზარალებულის პროცესუალური სტატუსის მინიჭების მოთხოვნით. დაზარალებულს მიენიჭა უფლება, წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 10 დღისა, გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის

<sup>15</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, (2019 წლის 08 მაისის მდგომარეობით), მუხლი 57;

<sup>16</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, (2019 წლის 08 მაისის მდგომარეობით), მუხლი 57;

მასალებს. გარდა ამისა, მოსამართლის თანხმობით, დაზარალებულს შეუძლია, დაესწროს პროცესის მიმდინარეობას სასამართლო სხდომის სრულად ან ნაწილობრივ დახურვის შემთხვევაში. აღნიშნული დებულება შესაძლებლობას აძლევს დაზარალებულს, ჰქონდეს ინფორმაცია სხდომაზე განხილულ საკითხებთან დაკავშირებით, სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის მიუხედავად იცოდეს, თუ როგორ მიმდინარეობს სასამართლო განხილვა და რა პოზიცია აქვს მხარეებს.

2014 წელს მიღებული რეგულაციებით, თანამდებობის პირი, რომელიც პირს სცნობს დაზარალებულად, ვალდებულია განუმარტოს მას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ყველა უფლება. ვინაიდან, საზოგადოებაში არის სამართლებრივი ცნობადობის დაბალი დონე, დაზარალებულისთვის უფლებამოსილების განმარტების ვალდებულების გათვალისწინება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დებულების სახით იყო აუცილებელი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ემუხლისმე-5 ნაწილის მიხედვით, პროკურორი ან, მისი დავალებით, გამომძიებელი, პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანის შემდეგ, გააცნობს მას დაზარალებულს და განუმარტავს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებებს და ამ უფლებების განხორციელების პროცედურებს, რის შესახებაც, ადგენს ოქმს. უფლებების გაცნობისა და დადგენილების გადაცემის ფაქტს დაზარალებული ადასტურებს ოქმზე ხელმოწერით.<sup>17</sup>

## **II. დაზარალებულის უფლებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით:**

### **2.1. დაზარალებულის უფლებები 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით;**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი იყო ინკვიზიციური ხასიათის, სადაც დაზარალებული წარმოდგენილი იყო,

<sup>17</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, (2019 წლის 08 მაისის მდგომარეობით), მუხლი 56;



როგორც პროცესის აქტიური მხარე, და მას ფართო საპროცესო-სამართლებრივი უფლებები გააჩნდა.

1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 68-ე მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებული შესაძლოა ყოფილიყო სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც დანაშაულის ან შეურაცხი პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად მიაღდა ფიზიკური, მორალური ან ქონებრივი ზიანი. ხსენებული კოდექსის 68-ე მუხლის თანახმად, დანაშაულის მომზადების ან მცდელობის ფაქტის არსებობის დროს, დაზარალებულად მიიჩნეოდა, ასევე, პირი, რომელსაც შესაძლოა მისდგომოდა ზიანი.

როგორც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, დაზარალებული იყო არა მხოლოდ პროცესის რიგითი მონაწილე, არამედ, ამ კოდექსის 68-ე მუხლის თანახმად, დაზარალებული იყო სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტი, კერძოდ, საჯარო ან კერძო-საჯარო ბრალდების საქმის გამო იყო სუბსიდიური ბრალმდებელი, ხოლო კერძო ბრალდების საქმის გამო - კერძო ბრალმდებელი; შესაბამისად, რიგ სისხლის სამართლის საქმეებზე უფლებამოსილი იყო ეწარმოებინა სისხლისსამართლებრივი დევნა.

„სუბსიდიური“ (subsidiarius) ლათინური სიტყვაა და ქართულად „დამატებითს“, „დამხმარეს“ ნიშნავს. სუბსიდიური ბრალდების დროს დაზარალებული ითვლებოდა ბრალდების მხარედ, რის გამოც კანონმდებელმა იგი მიიჩნია ე.წ. „დამატებით“ - სუბსიდიურ ბრალმდებლად.<sup>18</sup> დაზარალებულის ე.წ. დამატებითი ბრალმდებლის ფუნქცია გამოიხატებოდა იმაში, რომ მას ან მის წარმომადგენელს უფლება ჰქონდათ მხარი დაეჭირათ პროკურორის მიერ ფორმულირებულ და წაყენებულ ბრალდებისთვის და გამოსულიყვნენ ბრალმდებლის როლში. ასევე, თუკი, სახელმწიფო ბრალმდებელი - პროკურორი, უარს იტყოდა ან შეცვლიდა წაყენებულ ბრალდებას, მაშინ, დაზარალებულს ან მის წარმომადგენელს უფლება ჰქონდათ, მხარი დაეჭირათ უკვე წაყენებული (წინა) ბრალდებისათვის. ასეთ შემთხვევაში, პროკურორი აღარ იყო ვალდებული მონაწილეობა მიეღო სასამართლოში საქმის შემდგომ განხილვებში, ვინაიდან, მას თავისი პოზიცია უკვე დაფიქსირებული ჰქონდა და ასევე, მონაწილეობას ბრალმდებლის სახით სასამართლო პროცესებში იღებდა დაზარალებული ან/და მისი წარმომადგენელი.

სუბსიდიურ სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აღნიშნული სახის სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდებოდა მხოლოდ სასამართლო განხილვის ეტაპზე; სუბსიდიური სისხლისსამართლებრივი დევნა არ ხორციელდებოდა რაიმე წინით სპეციალიზირებულ დანაშაულების მიმართ; სუბსიდიური სისხლის სამართლებრივი დევნა განხორციელებულად ითვლებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც დაზარალებული ან/და მისი წარმომადგენელი მხარს დაუჭერდა საჯარო ან კერძო-საჯარო

<sup>18</sup> სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (გამოძიების სტადიაზე), ბესიკ მურმიშვილი, თბილისი, 2014წ., 45;

ბრალდებას. ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ დაზარალებულსა და მის წარმომადგენელს სუბსიდიური სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების პროცესში, უფლება არ ჰქონდათ, რომ გასცდომოდნენ სახელმწიფო ბრალმდებლის - პროკურორის მიერ ფორმულირებულ ბრალდებას.

სუბსიდიურ სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სანამ ხსენებული სახის სისხლისსამართლებრივი დევნის მიმართ იარსებებდა ნორმები, რომლებიც მინიჭებდა დაზარალებულს და მის წარმომადგენელს უფლებამოსილებას, რომ ეწინააღმდეგებინათ სისხლისსამართლებრივი დევნა იმ შემთხვევაში, როდესაც პროკურორი უარს იტყოდა წარდგენილ ბრალდებაზე ან შეცვლიდა მას, სასამართლო ვალდებული იყო, გამოეტანა გამამართლებელი განაჩენი ან თავადაც უარი ეთქვა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე.<sup>19</sup>

კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის სპეციფიკური ხასიათი გამოიხატებოდა იმაში, რომ ამ სახის სისხლის სამართლის საქმეებში ერთმანეთის პარალელურად მოქმედებდა საჯარო და კერძო ინტერესები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა იწყებოდა მხოლოდ დაზარალებულის განცხადების საფუძველზე, რაშიც გამოიხატება კერძო ინტერესის მოქმედება. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ საქმეს განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა და ამასთან, თუ დაზარალებულს თავისი უმწეო მდგომარეობის ან ბრალდებულზე დამოკიდებულების გამო არ შეეძლო დაენერა საჩივარი, პროკურორი უფლებამოსილი იყო დაეწყო სისხლისსამართლებრივი დევნა ასეთი საჩივრის არარსებობის შემთხვევაშიც. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთვის აუცილებელი იყო ქმდუნარიანი დაზარალებული პირის წერილობითი თანხმობა. ამ შემთხვევაში, კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივ დევნაში იკვეთება საჯარო ინტერესი, თუმცა, როგორც ვხედავთ, კერძო ინტერესი ჰქონდა უფრო დიდი მნიშვნელობა, ვიდრე საჯაროს, ვინაიდან, მართალია, პროკურორს ჰქონდა უფლებამოსილება დაეწყო კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა, თუმცა, მაინც საჭირო იყო დაზარალებულის წერილობითი თანხმობა ამასთან დაკავშირებით. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ იძლეოდა „საზოგადოებრივი მნიშვნელობის“ დეფინიციას და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის მწარმოებელ უფლებამოსილ ორგანოს უნდა გადაეწყვიტა, იყო თუ არა სახეზე განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა.<sup>20</sup>

როგორც უკვე ვთქვით, კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის დროს საპროცესო კოდექსი უშვებდა გამონაკლისს, როდესაც პროკურორს შეეძლო

<sup>19</sup> შ. ფაფიაშვილი, სისხლის სამართლის საქმისა და სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 1999წ., 29-31;

<sup>20</sup> ბესიკ მურმუშვილი, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (გამოძიების სტადიაზე), თბილისი, 2014წ. 47;

დევნის დაწყება დაზარალებულის საჩივრის არარსებობის შემთხვევაშიც; ამ გამონაკლისთან დაკავშირებით, კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის კიდევ ერთი სპეციფიკური მახასიათებელი იკვეთებოდა: მიუხედავად იმისა, რომ საქმეში მასშტაბურად ფიგურირებდა კერძო - დაზარალებულის ინტერესი, თუ დევნა დაიწყებოდა დაზარალებულის საჩივრის არარსებობის შემთხვევაში (გამონაკლისი წესით), იგი არ წყდებოდა დაზარალებულის ბრალდებულთან შერიგებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დევნის გაგრძელებას შესაძლოა ზიანი მიეყენებინა ბრალდებულსთვის ან/და დაზარალებულისთვის. მაგ: თუკი, მოგვიანებით დაზარალებული და ბრალდებული შექმნიდნენ ოჯახს, რა თქმა უნდა, სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელება ზიანს მიაყენებდა მათ ოჯახურ და პირად ცხოვრებას.<sup>21</sup> ამასთან, ასეთ შემთხვევაში, შერიგება უნდა მომხდარიყო სასამართლოს სათათბირო ოთახში გასვლამდე, იქნებოდა ეს პირველი ინსტანციის სასამართლო, სააპელაციო თუ საკასაციო ინსტანცია.

დაზარალებული, ასევე, ძალიან დიდი უფლებამოსილებით სარგებლობდა კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის დროს. 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 27-ე მუხლი ითვალისწინებდა კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის მოქმედების ფარგლებსა და ასპექტებს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კერძო სისხლისსამართლებრივ დევნას, რომ მის მარეგულირებლად, საერთო წესებთან ერთად, ასევე, ადგენდა განსაკუთრებულ წესებს, რომელსაც ცალკე თავს უთმობდა.<sup>22</sup>

კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის სპეციფიკური ხასიათი გამოიხატებოდა იმაში, რომ ამ სახის საქმეებში ფიგურირებდა მხოლოდ კერძო - დაზარალებულის ინტერესი. ამასთან, კერძო სისხლისსამართლებრივი დევნა იწყებოდა მხოლოდ დაზარალებულის საჩივრის არსებობისას, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ორი დანაშაულის არსებობის შემთხვევაში: 1. ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება (სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლი); 2. ცემა (სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლი).

კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნისგან განსხვავებით, კერძო სისხლისსამართლებრივი დევნისას პროკურორს არ ჰქონდა უფლებამოსილება დაზარალებულის საჩივრის გარეშე დაეწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა. თუმცა, ამავედროულად, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ კერძო სისხლისსამართლებრივ დევნასი ფიგურირებდა მხოლოდ კერძო ინტერესი, არსებობდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც პროკურორი

<sup>21</sup>სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, 2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ზაზა მეიშვილი, ომარ ჯორბენაძე, თბილისი 2007; 90;

<sup>22</sup>სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, 2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ზაზა მეიშვილი, ომარ ჯორბენაძე, თბილისი 2007; 91;

უფლებამოსილი იყო ჩაბმულიყო კერძო ბრალდების საქმეებში. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ასეთ სამ შემთხვევას ითვალისწინებდა: 1. როდესაც ამას წერილობით ითხოვდნენ მხარეები; 2. თუ ამას წერილობით ითხოვდა დაზარალებული ან მისი კანონიერი წარმომადგენელი; 3. თუ საქმეს განსაკუთრებულის საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა. - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არც კერძო სისხლისსამართლებრივი ბრალდების საქმეებთან დაკავშირებით იძლეოდა „განსაკუთრებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის“ დეფინიციას და ამ ტიპის საქმეებში, საქმისმწარმოებელ უფლებამოსულ ორგანოს, თანამდებობის პირს უნდა გადაეწყვიტა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა თუ არა განსაკუთრებულ საზოგადოებრივ მნიშვნელობას. პროკურორის საქმეში ჩართვასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეს არის პროკურორის უფლებამოსილება და არა ვალდებულება, შესაბამისად, რაღაც დოზით - განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმეებთან დაკავშირებით მოქმედებდა პროკურორის დისკრეციულობა. ის თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე აფასებდა იყო თუ არა საქმე განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის და ამის მიხედვით წყვეტდა ჩაბმულიყო თუ არა კერძო ბრალდების საქმეში. მისი დისკრეციულობის შემზღვეველი ერთადერთი ფაქტორი იყო ის, რომ მას შეეძლო ჩაბმულიყო საქმეში, მხოლოდ სასამართლო გამოძიების დაწყებამდე. სასამართლო გამოძიების დაწყების შემდგომ მას კერძო ბრალდების საქმეში ჩართვის უფლება აღარ ჰქონდა.

კერძო სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია დაზარალებულის პოზიციის მნიშვნელობა, რამდენადაც, დაზარალებულის ბრალდებულთან შერიგების შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნა წყდება. თუმცა, ამ წესიდან გამონაკლისი წესი არსებობდა: თუ პროკურორი ჩაებმეოდა კერძო ბრალდების საქმეში იმ მიზეზით, რომ საქმეს ჰქონდა განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა, საქმე მხარეთა მორიგებით არ წყდება.

კერძო სისხლისსამართლებრივ ბრალდების საქმეებში მხარეებში იგულისხმებოდა პირები, რომლებიც სასამართლომ სცნო დაზარალებულად და ბრალდებულად, ასევე პირი, რომელმაც საჩივრით მიმართა სასამართლოს, მაგრამ არ იყო ცნობილი დაზარალებულად. კერძო სისხლისსამართლებრივი ბრალდების საქმეებში მხარედ ითვლება, ასევე, პირი, რომლის მიმართაც შეტანილი იყო საჩივარი, მაგრამ ჯერ კიდევ არ ჰქონდა მინიჭებული ბრალდებულის სტატუსი. ასევე, 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 27-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ კერძო ბრალდების საქმეზე მხარეები ერთმანეთს სდებენ ბრალს, მაშინ მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება დაზარალებულის ბრალდებულად, ხოლო ბრალდებულის დაზარალებულად ცნობის შესახებ. შესაბამისად, ერთ საქმეზე (კერძო ბრალდების შემთხვევაში), პირი შეიძლება ყოფილიყო როგორც დაზარალებული, ასევე, ბრალდებული.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ 1998 წლის სისხლის სამართლის პროცესი დაზარალებულს წარმოგვიდგენდა, როგორც პროცესის აქტიურ მხარეს, რომელიც სარგებლობდა ფართო უფლებამოსილებით, განსაკუთრებით, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების პროცესში. თუმცა, დაზარალებულის უფლებამოსილება, რომელსაც 1998 წლის კოდექსი ანიჭებდა, ამით არ სრულდებოდა.

1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 69-ე მუხლით განსაზღვრული იყო ის საპროცესო-სამართლებრივი უფლებები, რომლებითაც დაზარალებული სარგებლობდა სამართალწარმოების მიმდინარეობისას. კერძოდ, დაზარალებული და მისი უფლებამონაცვლე სამართალწარმოების მიმდინარეობისას უფლებამოსილები იყვნენ: მიეღოთ განმარტება იმ უფლებამოსილების შესახებ, რომლებსაც ისინი ფლობდნენ სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობისას. დაზარალებული და მისი უფლებამონაცვლე უფლებამოსილნი იყვნენ მიეცათ ჩვენება და განმარტება, თუმცა, ამავდროულად აღსანიშნავია, რომ 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დაზარალებულს და მის უფლებამონაცვლეს უფლებამოსილი პირის მიერ (გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს) გამოძახების შემთხვევაში, ჰქონდათ ჩვენების მიცემის ვალდებულება. დაზარალებული ან/და მისი უფლებამონაცვლე უფლებამოსილნი იყვნენ ჩვენება მიეცათ თავიანთთვის გასაგებ ენაზე და ესარგებლათ თარჯიმნის უფასო მომსახურებით.

დაზარალებული, ასევე, უფლებამოსილი იყო განეცხადებინა პროცესის მონაწილის აცილება, დაეყენებინა შუამდგომლობა - მტკიცებულების გამოთხოვის, საგამოძიებო მოქმედების ჩატარების, სასამართლო მოქმედების ჩატარების, სისხლის სამართლის საქმის გარემოების შემოწმების ან/და სამართალწარმოების პროცესში წამოჭრილი სხვა საკითხების შესახებ. დაზარალებული უფლებამოსილი იყო სამართალწარმოების მიმდინარეობისას, თავისი ინიციატივით, წარმოედგინა მტკიცებულება. იგი უფლებამოსილი იყო, ასევე, მონაწილეობა მიეღო მისი შუამდგომლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში.

წინასწარი გამოძიებისა და საქმის სასამართლო განხილვის მიმდინარეობისას დაზარალებული უფლებამოსილი იყო საწინააღმდეგო აზრი გამოეთქვა პროცესის მწარმოებელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მოქმედებაზე და მოეთხოვა ამ საწინააღმდეგო აზრის შეტანა საგამოძიებო მოქმედების ოქმში ან/და სასამართლო სხდომის ოქმში.

დაზარალებული უფლებამოსილი იყო სამართალწარმოების პროცესში გამომძიებლის ან/და პროკურორის მიერ განხორციელებული ქმედება გაესაჩივრებინა პროკურორთან, ხოლო საჩივრის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, ზემდგომ პროკურორთან და ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლოში.

დაზარალებული უფლებამოსილი იყო პირისთვის ბრალდების წაყენების შემთხვევაში, სკოდნოდა ბრალდების არსი, თუ რა დანაშაულში ედებოდა

ბრალდებულს ბრალი. ამასთან, სისხლის სამართლის საქმის საბრალდებო დასკვნით სასამართლოში გადაგზავნის შემდგომ, დაზარალებული უფლებამოსილი იყო სრულად გასცნობოდა სისხლის სამართლის საქმის მთელი მასალების ასლს და ასევე, ნივთიერ მტკიცებულებებს. ამ დანაწესთან დაკავშირებით, არ არსებობდა არანაირი შეზღუდვა. მნიშვნელობა არ ჰქონდა, ამით საფრთხე შეექმნებოდა თუ არა გამოძიებას და სამართალწარმოების შემდგომ ეტაპებს, დაზარალებულის უფლება სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობასთან დაკავშირებით იყო უპირატესი.

დაზარალებული სასამართლო განხილვისას სარგებლობდა იმ უფლებამოსილებათა დიდი ნაწილით, რაც ღდეს სისხლის სამართლის საქმის განხილვისას გააჩნია მხოლოდ პროცესის მხარეს - ბრალდებას ან დაცვას; კერძოდ, ის უფლებამოსილი იყო მონაწილეობა მიეღო საქმის სასამართლო განხილვაში, წარედგინა მტკიცებულებები, გამოეკვლია სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები. ის, ასევე, უფლებამოსილი იყო ჩართულიყო სასამართლო კამათში და გამოეთქვა თავისი მოსაზრება ბრალდების დასაბუთებულობის შესახებ, ბრალდებულის მიერ განხორციელებული ქმედების კვალიფიკაციის შესახებ, სასჯელის სახისა და ზომის შესახებ და ასევე, თავისი სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ, რომელიც ეხებოდა მის მიერ დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. დაზარალებული, ასევე, უფლებამოსილი იყო, მონაწილეობა მიეღო მონაწილეობა სააპელაციო/საკასაციო ინსტანციის სასამართლო სხდომებში და დაეცვა თავისი უფლებები და კანონიერი ინტერესები.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულთან ერთად, დაზარალებულს, როგორც სისხლის სამართლის პროცესის სრულუფლებიან მხარეს, უფლება ჰქონდა გაესაჩივრებინა პირველი ინსტანციის განაჩენი ან სხვა სახის ნებისმიერი გადაწყვეტილება სააპელაციო ან/და საკასაციო წესით. ასევე, იგი უფლებამოსილი იყო, გარკვეულ შემთხვევებში გაესაჩივრებინა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო. ამასთან, იგი უფლებამოსილი იყო, სანადალმდეგო აზრი დაეთქვიანებინა პროცესის სხვა მონაწილის საჩივარზე.

1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დანაწესებით, დაზარალებული უფლებამოსილი იყო უფასოდ მიეღო შემდეგი დოკუმენტაციის ასლები: სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილება/განჩინება, წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილება/განჩინება, სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილება/განჩინება, საბრალდებო დასკვნა, განაჩენი ან/და სასამართლოს სხვა ნებისმიერი შემაჯამებელი გადაწყვეტილება, მიღებული იმ საქმეზე, რომელზეც ეს პირი ცნობილია დაზარალებულად. ამასთან, ხსენებულ უფლებასთან დაკავშირებით ხაზგასასმელია ის ფაქტორი, რომ აღნიშნული დოკუმენტების ასლები უნდა

ყოფილიყო თარგმნილი მისთვის გასაგებ ენაზე, თუ დაზარალებულმა არ იცოდა სისხლის სამართლის პროცესის ენა.

დაზარალებული 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვლისწინებული დანაწესით, სარგებლობდა მყარი სოციალური გარანტიებითაც, იგი უფლებამოსილი იყო მიეღო პროცესში მონაწილეობის შედეგად განეული ხარჯების ანაზღაურება. ასევე, იგი, უფლებამოსილი იყო დაებრუნებინა წინსწარი გამოძიებისას და საქმის სასამართლო განხილვისას სისხლის სამართლის საქმის საჭიროებისთვის ჩამორთმეული კუთვნილი ქონება.

დაზარალებული უფლებამოსილი იყო პროცესის მწარმოებელი ორგანოსთვის (თანამდებობის პირისთვის) მოეთხოვა დაცვის სპეციალური ღონისძიებების გატარება, თუ საფრთხე ემუქრებოდა მისი ან მისი ახლო ნათესავის სიცოცხლე, ჯანმრთელობას ან/და საკუთრებას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულთან ერთად, დაზარალებული უფლებამოსილი იყო დაზარალებულად ცნობის მომენტიდან ყოლოდა წარმომადგენელი და სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ ეტაპზე უარი ეთქვა მის მომსახურებაზე.

1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, დაზარალებული უფლებამოსილია წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ეტაპზე იყოლიოს ადვოკატი და მისი უფლებები და კანონიერი ინტერესები დაიცვას მან. ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დაზარალებული არ იყო შებლუდული ესარგებლა ერთდროულად რამდენიმე უფლებადამცველით, მთავარი იყო ის, რომ ამას არ გამოეწვია სისხლის სამართლის პროცესის გაჭიანურება.

თუკი, პროცესის მწარმოებელ უფლებამოსილ ორგანოს (თანამდებობის პირს) დაზარალებული წარუდგენდა თავისი გადახდისუუნარობის დამადასტურებელ დოკუმენტს, გაცემულს ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველი ორგანოს მიერ, მატერიალურად უსახსრო დაზარალებულის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დამცველი ადვოკატის მომსახურების ხარჯებს ანაზღაურებდა სახელმწიფო. ამასთან, ასეთი დოკუმენტის წარუდგენლობის შემთხვევაში, პროცესის მწარმოებელი თანამდებობის პირის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, შესაძლოა, სახელმწიფო ხარჯზე მოეწვიათ დაზარალებულის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დამცველი ადვოკატი.

1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებდა ისეთ შემთხვევებს, როდესაც აუცილებელი იყო პროცესში მონაწილეობა მიეღო დაზარალებულის უფლებადამცველ ადვოკატს. ეს იყო შემთხვევა, როდესაც დაზარალებული იყო არასრულწლოვანი, ქმედუუნარო, შებლუდულქმედუუნარიანი, ან როდესაც დაზარალებულს თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეეძლო დაეცვა თავისი უფლებები და კანონიერი ინტერესები. ასევე, დაზარალებულის ადვოკატის მონაწილეობა სავალდებულო იყო მაშინ, როდესაც დაზარალებული იყო ტრეფიკინგის მსხვერპლი. ასეთ შემთხვევაში, პროცესის მწარმოებელი ორგანო

ვალდებული იყო მოეწვია დაზარალებულის ინტერესების დამცველი ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე.

ამასთან, დაზარალებულის უფლებები და კანონიერი ინტერესები შეეძლო დაეცვა მის კანონიერი წარმომადგენელსაც. ასევე, კანონიერ წარმომადგენელს პროცესში მონაწილეობის მისაღებად და დაზარალებულის ინტერესების დასაცავად შეეძლო მოეწვია ადვოკატ-წარმომადგენელი. დაზარალებულს პროცესის ნებისმიერ ეტაპზე შეეძლო უარი ეთქვა თავისი კანონიერი წარმომადგენლის პროცესში მონაწილეობაზე და როგორც წესი, პროცესის მწარმოებელი უფლებამოსილი ორგანო ითვალისწინებდა დაზარალებულის ამ პოზიციას. თუმცა, 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განწერილი იყო შემთხვევები, როდესაც დაზარალებულის უარი პროცესში წარმომადგენლის მონაწილეობაზე არ მიიღებოდა: როდესაც დაზარალებული იყო არასრულწლოვანი, ქმედუენარო, შებლუდულქმედუენარიანი, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეეძლო თავის დაცვა ან იყო ტრეფიკინგის მსხვერპლი.

დაზარალებულის წარმომადგენელი სარგებლობდა თითქმის იმავე მოცულობის უფლებამოსილებით, როგორც დაზარალებული. თუმცა, რა თქმა უნდა, გარკვეული სახის უფლებებით სარგებლობა მხოლოდ დაზარალებულს შეეძლო. დაზარალებულის წარმომადგენელი არ იყო უფლებამოსილი უფასოდ მიეღო წინასწარი გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილება (განჩინება) მისთვის გასაგებ ენაზე ნათარგმნი; ასევე, დაზარალებულისგან განსხვავებით, ის არ იყო უფლებამოსილი ჩვენება მიეცა მისთვის გასაგებ ენაზე და ესარგებლა თარჯიმნის უფასო მომსახურებით; დაზარალებულის წარმომადგენელი არ იყო უფლებამოსილი დაებრუნებინა დაზარალებულისთვის საქმის საჭიროებიდან გამომდინარე, წინასწარი გამოძიების ეტაპზე ან სასამართლო განხილვის ეტაპზე ჩამორთმეული ქონება, და აგრეთვე, დაზარალებულის წარმომადგენელი, რა თქმა უნდა, არ იყო უფლებამოსილი ჰყოლოდა წარმომადგენელი წინასწარი გამოძიებისა და საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე.

როგორც ვნახეთ, 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი დაზარალებულისთვის ითვალისწინებდა დიდი მოცულობით უფლებამოსილებას, რომლის რეალიზაციაც დაზარალებულს პროცესის ნებისმიერ ეტაპზე შეეძლო. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განწერილი იყო დაზარალებულისა და მისი უფლებამონაცვლის, როგორც უფლებები, ასევე, მოვალეობებიც.

1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლით დაზარალებულსა და მის უფლებამონაცვლეს ეკისრებოდათ შემდეგი ვალდებულებები: ისინი ვალდებული იყვნენ პროცესის მწარმოებელი ორგანოს თანამდებობის პირების - გამოძიებლის, პროკურორის ან/და მოსამართლის მიერ გამოძახების შემთხვევაში, გამოცხადებულიყვნენ პროცესის მწარმოებელ ორგანოში; ასევე, მათ ეკისრებოდათ ვალდებულება, გულახდილად, ყოველგვარი სიცრუის



გარეშე, ეცნობებიანთ პროცესის მწარმოებელი ორგანოს წარმომადგენლისთვის, საქმესთან დაკავშირებული ყველა ის გარემოება, რაც მათთვის იყო ცნობილი; ასევე, ეპასუხა დასმული კითხვებისთვის. დაზარალებული (მისი უფლებამონაცვლე) ვალდებული იყო არ გაემჟღავნებინა საქმესთან დაკავშირებული, მისთვის ცნობილი, გარემოებები, თუ პროცესის მწარმოებელი ორგანო - თანამდებობის პირი გააფრთხილებდა ამის შესახებ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაზარალებული (მისი უფლებამონაცვლე) ვალდებული იყო გამოცხადებულიყო პროცესის მწარმოებელ ორგანოში, უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ დაბარების შემთხვევაში. თუკი, დაზარალებული არასაპატიო მიზეზით, თანამდებობის პირის მიერ მისი დაბარების შემთხვევაში, არ გამოცხადდებოდა პროცესის მწარმოებელი ორგანო, უფლებამოსილი იყო განეხორციელებინა მისი იძულებითი მიყვანა.

დაზარალებულის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მართალია, დაზარალებული 1998 წლის სისხლის სამართლის პროცესში წარმოდგენილი იყო, როგორც პროცესის სრულუფლებიანი მხარე, რომელზეც ხშირ შემთხვევაში დამოკიდებული იყო პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დანყება/არდანყების საკითხი, თუმცა, მისი გამოუცხადებლობა და მონაწილეობის არმიღება სამართალწარმოებაში, საჯარო და კერძო-საჯარო ბრალდებების საქმეებზე არ აფერხებდა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებას.

დაზარალებულის საპროცესო-სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ დაზარალებულისთვის სირცხვილის გამომწვევი მოქმედებები, გაშიშვლებასთან დაკავშირებული შემონმება და გაშიშვლებასთან დაკავშირებული ექსპერტიზა, შესაძლებელი იყო ჩატარებულიყო მხოლოდ და მხოლოდ დაზარალებულის თანხმობით. თუმცა, ბრალდებულის უფლებათა საპირწონედ, არსებობდა გამონაკლისი ამ დანაწესიდან; კერძოდ, მოსამართლის ბრძანების საფუძველზე, შესაძლო იყო, დაზარალებულს იძულებითი შემონმება ჩატარებოდა, თუ ბრალდებული მოითხოვდა შემონმებას, დანაშაულის ჩადენაში მისი მამხილებელი ჩვენების გაბათილების მიზნით.<sup>23</sup>

და ბოლოს, 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მოწესრიგებულ დაზარალებულის უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ დაზარალებულს, ისევე, როგორც სხვა ნებისმიერ პირს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ცრუ ჩვენების მიცემისთვის, რაც, ასევე, გათვალისწინებული იყო, ასევე, 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის მე-3 ნაწილით.

<sup>23</sup>სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, 2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ზაზა მფიშვილი, ომარ ჯორბენაძე, თბილისი 2007; 188;

## 2.2. დაზარალებულის უფლებები 2010 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით:

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2010 წლის 1 ოქტომბრიდან საქართველოში ამოქმედდა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც დაზარალებულის როლს სისხლის სამართლის პროცესში სრულიდან სხვაგვარად უდგება. ახალმა კოდექსმა სრულიდან ახლებურად მოაწესრიგა დაზარალებულთან დაკავშირებული სამართლებრივი პროცედურები. ახალმა სისხლის სამართლის პროცესმა დაზარალებული წარმოგვიდგინა როგორც პროცესის „შიშველი ობიექტი“, რომელსაც არ გააჩნია საკმარისი სამართლებრივი ბერკეტები იმისთვის, რომ გავლენა მოახდინოს პროცესის მწარმოებელ ორგანოს გადაწყვეტილებებზე. ამასთან, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით უკიდურესად შემცირდა დაზარალებულის სამართლებრივი გარანტიები, რომლითაც იგი უზრუნველყოფდა თავისი კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების დაცვას სისხლის სამართალწარმოების პროცესში.

დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა არ იყო სახარბიელო 2010 წლის კოდექსის მოქმედების დაწყების პირველ ხანებში, თუმცა, 2014 წელს საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეიტანა რამდენიმე ცვლილებები დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. ამასთან, 2018 წლის დეკემბერში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება,<sup>24</sup> რითაც, ასევე, გაუმჯობესდა დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა და გამყარდა მისი სამართლებრივი გარანტიები მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. დაზარალებულის სამართლებრივ მდგომარეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, ასევე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2018 წლის 04 მაისს მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში გამოჩნდა ახალი ინსტიტუტი - მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი, რომელიც დაზარალებულს დაეხმარება პროცესის მწარმოებელ თანამდებობის პირთან კომუნიკაციაში და ასევე, დანაშაულის შედეგად გამოწვეული სტრესის გამკლავებაში.

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 22-ე ნაწილის თანახმად, დაზარალებული შეიძლება იყოს სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მიაღვა ფიზიკური, მორალური ან/და ქონებრივი ზიანი უშუალოდ დანაშაულის შედეგად. ასევე, დაუმთავრებელი დანაშაულის დროს - მცდელობისა ან მომზადების დროს, დაზარალებულად წარმოგვიდგება სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც შესაძლოა მისდგომოდა ზიანი დანაშაულის დამთავრების შემთხვევაში. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ისეთ სისხლის

<sup>24</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება; საქართველოს მოქალაქეები - ხვიჩა ყირმიზაშვილი, გია ფაცურია და გვანცა გვანიაშვილი და „შს ნიკანი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

სამართლის საქმეებზე, სადაც დანაშაულს შედეგად მოჰყვა დაზარალებულის სიკვდილი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული უფლებები ენიჭება და მოვალეობები ეკისრება დაზარალებულის უფლებამონაცვლეს. პროცესის მწარემოებელ უფლებამოსილ პირს, იქნება ეს გამომძიებელი, პროკურორი თუ მოსამართლე, უფლება არ აქვს, უარი უთხრას დაზარალებულის უფლებამონაცვლეს საპროცესო კანონმდებლობით დაზარალებულისთვის გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობაზე. იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებულს ყავს ორი ან მეტი ერთი რიგის ნათესავი, რომლებიც სისხლის სამართლის საქმეზე ითხოვენ დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსის მინიჭებას და აქვთ დავა იმის შესახებ, თუ რომელი მიიღებს ამ სტატუსს, პროცესის მწარემოებელი უფლებამოსილი პირი დაზარალებულის ნათესავებში წილისყრის საფუძველზე განსაზღვრავს, თუ ვის მიენიჭება დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსი.<sup>25</sup>

პროკურორს პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ გამოაქვს დადგენილება, რომელსაც ან თავად აცნობს დაზარალებულს ან გამომძიებელს ავალებს, რომ გააცნოს დანაშაულის მსხვერპლს მისი დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დადგენილების გაცნობის მომენტში, უფლებამოსილი თანამდებობის პირი (პროკურორი, გამომძიებელი) ვალდებულია დაზარალებულს აცნობოს ყველა იმ უფლების შესახებ, რომელიც დაზარალებულს ენიჭება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით. ამასთან, უფლებამოსილი თანამდებობის პირი, ვალდებულია გააცნოს დაზარალებულს თავის უფლებამოსილების გამოყენებასთან დაკავშირებული პროცედურები.

პირის დაზარალებულად ცნობისთვის აუცილებელია როგორც მატერიალური, ისე ფორმალური საფუძვლების არსებობა. მატერიალურ საფუძველს, ამ შემთხვევაში, წარმოადგენს ზიანის ფაქტი - კერძოდ, აუცილებლად უნდა არსებობდეს მორალური, ფიზიკური ან/და ქონებრივი ზიანი, რომელიც მიაღდა დაზარალებულს უშუალოდ დანაშაულის შედეგად, ან უშუალოდ დანაშაულის შედეგად უნდა იყოს წარმოშობილი ასეთი ზიანის საფრთხე. ხოლო, რაც შეეხება, ფორმალურ საფუძველს - ეს არის პროკურორის მიერ გამოტანილი დასაბუთებული დადგენილება, რომელიც პირს სისხლის სამართლის საქმეზე ცნობს დაზარალებულად.

სისხლის სამართლის საქმეზე პირის დაზარალებულად ცნობის საფუძველი, ასევე, შესაძლოა გახდეს დანაშაულის მსხვერპლის მიმართვა პროკურორისათვის. კერძოდ, მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ პროკურორმა თავისი ინიციატივით არ სცნო

<sup>25</sup>სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (2019 წლის 08 მაისის მდგომარეობით), მუხლი 56, მესამე ნაწილი;

პირი დაზარალებულად, დანაშაულის მსხვერპლს უფლება აქვს მიმართოს პროკურორს დაზარალებულის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პირის დაზარალებულად ცნობა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ გამოძიების ეტაპზე, პროკურორის მიერ. 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისგან განსხვავებით, სასამართლო არ არის უფლებამოსილი პირისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭების თაობაზე მიიღოს გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაზარალებულად ცნობის საკითხი გასაჩივრებულის პირველი ინსტანციის სასამართლოში (აღნიშნული საკითხი უფრო დანვრილებით განხილული იქნება ქვემოთ).

იმ შემთხვევაში, თუკი, სისხლის სამართლის საქმეში დაზარალებულად გვევლინება სახელმწიფო, მის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს იცავს სახელმწიფო ბრალმდებელი - პროკურორი, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერას. ფიზიკური პირის შემთხვევაში უკვე ვისაუბრეთ, რომ თუკი, დანაშაულს შედეგად მოჰყვა დაზარალებულის გარდაცვალება, მაშინ, დაზარალებულის კანონიერ ინტერესებს სამართალწარმოების მიმდინარეობისას დაიცავს მისი უფლებამონაცვლე. რაც შეეხება, იურიდიულ პირს, როგორც ვიცით, იურიდიული პირი არის ადამიანების მიერ შექმნილი ხელოვნური წარმონაქმნი, რომელიც სამოქალაქო სამართალურთიერთობებისთვის შეიქმნა, შესაბამისად, თუკი, სისხლის სამართლის საქმეზე, დაზარალებულად გვევლინება იურიდიული პირი, სამართალწარმოების მიმდინარეობისას იგი სისხლის სამართლის პროცესში შესაბამისი უფლებამოსილებით ალტურვილი წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობს.

რაც შეეხება დაზარალებულის (უფლებამონაცვლის) იმ უფლებამოსილებას, რომლითაც ის სარგებლობს სისხლის სამართალწარმოების მიმდინარეობისას; მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლი გვაძლევს იმ უფლებათა ჩამონათვალს, რომლითაც დაზარალებული (უფლებამონაცვლე) სარგებლობს სისხლის სამართლის პროცესში.

დაზარალებულს სისხლის სამართლის პროცესში მინიჭებული აქვს მონმის ყველა უფლება და ეკისრება მისი ყველა ვალდებულება. მართალია 2010 წლის კოდექსის ამოქმედების პირველ ხანებში, დაზარალებულისა და მონმის სამართლებრივი მდგომარეობა დიდად არ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, თუმცა, ახლა, 2014 წლის ცვლილებებისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილების შემდეგ, შეგვიძლია, თამამად ვთქვათ, რომ დაზარალებულის სამართლებრივი სტატუსი არსებითად განსხვავდება მონმის სამართლებრივი სტატუსისგან.

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, მსგავსად 1998 წლის კოდექსისა, დაზარალებულს აქვს უფლება იცოდეს ბრალდებულისთვის წაყენებული ბრალდების არსი. ეს ძალიან მნიშვნელოვანი უფლებაა დაზარალებულისთვის, თავისი უფლებებების რეალიზაციისა და კანონიერი

ინტერესების დაცვისთვის. კერძოდ, გამოძიებაში დამკვიდრებული პრაქტიკით, როცა ერთი პირის მიმართ რამდენიმე დანაშაულის ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება, საქმე ერთიანდება ერთ წარმოებად. შესაბამისად, თუ პირი, დაზარალებულადაა ცნობილი ერთ რომელიმე ეპიზოდზე, საქმის გაერთიანების შედეგად, იგი დაზარალებული ხდება გაერთიანებულ წარმოების საქმეზე. ხოლო, გამოძიების პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც მაგალითად: პროკურორი თავისი დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე, პირს უყენებს ბრალდებას ერთ-ერთ ან ორ ეპიზოდზე, ხოლო სხვა ეპიზოდზე/ეპიზოდებზე არა, ვინაიდან, ამისთვის არ აქვს შესაბამისი მტკიცებულებითი სტანდარტი - დასაბუთებული ვარაუდი. ამ შემთხვევაში, იმ დაზარალებულს, რომლის ეპიზოდზეც არ მოხდა პირისთვის ბრალდების წაყენება, შეუძლია მიმართოს ზემდგომ პროკურორს და გაასაჩივროს პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების საკითხი, მაგრამ, თუკი, არ ეცოდინება ბრალდებულის მიმართ წაყენებული ბრალდების არსი, იგი ვერ მოახერხებს თავისი სხვა უფლებების რეალიზაციას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაზარალებულს უფლება აქვს, მიმართოს პროკურორს დაზარალებულის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით. პროკურორს კი ეძლევა 48 საათიანი ვადა, იმისთვის, რომ გამოიტანოს დასაბუთებული დადგენილება პირის დაზარალებულად ცნობისთვის. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუკი, პროკურორი არ დააკმაყოფილებს პირის მოთხოვნას და არ სცნობს მას დაზარალებულად, მას შეუძლია საჩივრით მიმართოს ზემდგომ პროკურორს, ხოლო თუ ზემდგომმა პროკურორმაც არ დააკმაყოფილა საჩივარი, მაშინ, მას შეუძლია პროკურორის უარი გაასაჩივროს სასამართლოში.

ვინაიდან, შევხებით დაზარალებულის მიერ პროკურორის გარკვეულ ქმედებათა გასაჩივრების უფლებას, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დაზარალებული უფლებამოსილია, გაასაჩივროს პროკურორის არაერთი გადაწყვეტილება. კერძოდ, არსებობს ისეთი შემთხვევები, როდესაც პირის დაზარალებულად ცნობის შემდგომ, უფლებამოსილი პირისთვის - პროკურორისთვის ცნობილი ხდება, რომ პირის დაზარალებულად ცნობა მოხდა შეცდომით და რეალურად სისხლის სამართლის საქმეში არ იყო ამის მატერიალური საფუძველი. ამ შემთხვევაში, პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გაუქმების თაობაზე. - ისევე როგორც დაზარალებულად ცნობის შესახებ, ასევე, დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გაუქმების გადაწყვეტილებაც, დაზარალებულს იმავე წესით შეუძლია გაასაჩივროს - ჯერ ზემდგომ პროკურორთან, ხოლო, თუ აქაც არ მოხდა მისი საჩივრის დაკმაყოფილება - მერე უკვე სასამართლოში.

ასევე, თუკი პროკურორი უარს იტყვის სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე, ან მიიღებს დადგენილებას გამოძიების/სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, დაზარალებულს იმავე წესით უფლება აქვს პროკურორის ეს ქმედება გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან, ხოლო, თუ ზემდგომ პროკურორთანაც

არ დაკმაყოფილდა, შემდეგ უკვე სასამართლოში. თუმცა, სასამართლოში გამოძიების/სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის/არდანწყების გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში. ამასთან, აღსანიშნავია, რომ თუკი, ზემდგომმა პროკურორმა ან სასამართლომ დააკმაყოფილა დაზარალებულის მოთხოვნა და სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა არ არის გასული, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყება/გაგრძელდება, ხოლო, დევნის განხორციელება დაევალება სხვა პროკურორს.

მოქმედი კანონმდებლობით, დაზარალებულს მოთხოვნის შემთხვევაში, უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია, პროცესის მწარმოებელი თანამდებობის პირების მიერ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებისა და საპროცესო სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელების შესახებ. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუკი დაზარალებული მოითხოვს, პროკურორი ვალდებულია, წინასწარ აცნობოს მას შემდეგი საპროცესო მოქმედებების ჩატარების ადგილი და დრო: ბრალდებულის პირველი წარდგენა მაგისტრატ მოსამართლესთან, წინასასამართლო სხდომა, სასამართლოს მთავარი სხდომა, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობის განხილვის სასამართლო სხდომა, სასჯელის შეფარდების სასამართლო სხდომა, სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო სხდომა.<sup>26</sup> თუმცა, აქ აღსანიშნავია ის, რომ დაზარალებულს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ამას მოითხოვს. არცერთ პროცესის მწარმოებელ თანამდებობის პირს არ ეკისრება პირდაპირი მოვალეობა, რომ აცნობოს დაზარალებულს ამ ერთობ მნიშვნელოვანი საპროცესო ღონისძიებების შესახებ. და რა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც დაზარალებულს არ აქვს შესაბამისი სამართლებრივი ცოდნა და სამოქალაქო გამოცდილება იმისთვის, რომ თვითონ მოითხოვოს ინფორმაცია ამ მნიშვნელოვანი ღონისძიებების შესახებ. როგორც განხორციელებს დაზარალებული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებას, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის განხილვისას ან სასჯელის შეფარდების სასამართლო სხდომაზე მისცეს ჩვენება იმ ზიანის შესახებ, რომელიც მას დანაშაულის შედეგად მიაღწია, ან წერილობით წარუდგინოს სასამართლოს თავისი პოზიცია, თუკი, დაზარალებულმა არ იცის, ან უბრალოდ დაავიწყდა მოითხოვოს ინფორმაცია ხსენებული საპროცესო ღონისძიებების გამართვის თარიღს, ადგილსა და დროის შესახებ; ამ საკანონმდებლო ხარვეზით სერიოზული საფრთხე ექმნება დაზარალებულის სხვა უფლებების რეალიზაციასაც.

2014 წელს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებით, დაზარალებულს მიენიჭა უფლება მიიღოს ინფორმაცია

<sup>26</sup>სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, (2019 წლის 08 მაისის მდგომარეობით), მუხლი 58, ნაწილი პირველი;

გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ან/და გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს. დაზარალებულის აღნიშნული უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებით მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სხვა - მესამე პირის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებიც. კერძოდ, ზემოთ განვიხილეთ მაგალითი, როდესაც გამოძიება მიმდინარეობს ერთი პირის მიმართ რამდენიმე ფაქტზე, საქმეები ერთიანდება ერთ წარმოებად, შესაბამისად, შესაძლოა გამოიკვეთოს რამდენიმე დაზარალებული, რომელთაც ერთი და იმავე პირის მიერ განხორციელებული ქმედებით შესაძლოა მისდგომოდათ ზიანი. ასეთ შემთხვევაში, დაუშვებელია დაზარალებულს მიეცეს უფლება გაეცნოს მესამე პირის პირადი ცხოვრების შესახებ ცნობების შემცველ ინფორმაცია, ვინაიდან, ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება არის უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე, ამ შემთხვევაში დაზარალებულის ინტერესი (თუმცა, ამის შესახებ, მაინც ყოველი კონკრეტული შემთხვევის დროს უნდა იმსჯელოს პროკურორმა). ასევე, შესაძლოა, გამოძიების მიმდინარეობისას, ბრალდებულის მიერ განხორციელებულ სხვა დანაშაულებრივ ქმედებაზე მოპოვებულ იქნა ისეთი ინფორმაცია, რომელიც გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, არ შეიძლება ცნობილი გახდეს მესამე პირისთვის, მათ შორის, არც დაზარალებულისთვის, ასეთ შემთხვევაში, გამოძიების ინტერესები გადაწონის დაზარალებულის უფლებას, გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს და პროკურორი გამოიტანს დასაბუთებულ დადგენილებას, რომლითაც დაზარალებულს უარი ეთქმევა სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობაზე. დაზარალებულს, რა თქმა უნდა, პროკურორის ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების ბერკეტიც აქვს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დაზარალებულს უფლება აქვს პროკურორის დადგენილება ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან. სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ დაზარალებულს უფლება აქვს წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს ათი დღისა გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს; აღნიშნული უფლება უპირობოა და პროცესის მწარმოებელი ორგანოს თანამდებობის პირს უფლება არ აქვს უარი უთხრას დაზარალებულს ამ უფლების რეალიზებაზე.

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 181-ე მუხლის მე-4<sup>1</sup> თანახმად, სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ განჩინების გამოტანის მიუხედავად, მოსამართლე უფლებამოსილია ამ საქმეში დაზარალებულად ცნობილ პირს მისცეს სხდომაზე ან სხდომის ნაწილზე დასწრების უფლება. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ დაზარალებულს პროცესის სხვა მონაწილეთაგან განსხვავებით აქვს პრივილეგია დაესწაროს სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვას, რათა ბოლომდე იყოს ინფორმირებული პროცესის მიმდინარეობაზე. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ეს მოსამართლის უფლებამოსილებაა, მან თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე შეიძლება დართოს ან არ დართოს ნება დაზარალებულს დაესწაროს სისხლის სამართლის საქმის

სასამართლო განხილვას. მოსამართლე, ამ შემთხვევაში, მოქმედებს შინაგანი რწმენის საფუძველზე და აღნიშნული საკითხი უნდა გადაწყვიტოს ისე, რომ არ მოხდეს ან და მინიმალურ ფარგლებში მოხდეს პროცესის მონაწილეთა უფლებების შეზღუდვა.

დაზარალებულს უფლება აქვს, ასევე, ბრალდების მხარეს მიმართოს სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ შუამდგომლობის დაყენების მოთხოვნით. ამასთან, თუკი, დაზარალებული ტრეფიკინგის ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლია, სასამართლო უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით დაუხროს სხდომა ნაწილობრივ ან სრულიად.

მოქმედი კანონმდებლობით, 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მსგავსად, დაზარალებულის საკუთრების უფლება 2010 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსითაც დაცულია. კერძოდ, მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, იგი უფლებამოსილია დაიბრუნოს პროცესის მიმდინარეობისას სისხლის სამართლის საქმის საჭიროების მიზნით ჩამორთმეული ქონება. ასევე, დაზარალებული უფლებამოსილია, მიიღოს პროცესში მონაწილეობის მიღების შედეგად განეული ხარჯების ანაზღაურება. ამასთან, იგი უფლებამოსილია, უფასოდ მიიღოს გამოძიების/სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ მიღებული დადგენილებების ასლები, ასევე, განაჩენის და სასამართლოს სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილებების ასლები. გარდა ამისა, პროკურორი ვალდებულია, დაზარალებულს გაუგზავნოს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ დადგენილების ასლი, რაც დაზარალებულს, თავისთავად, ეხმარება საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებების რეალიზაციაში.

დაზარალებულს, მოქმედი კანონმდებლობა, 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მსგავსად, აკისრებს ვალდებულებებს. მართალია, დაზარალებულის ვალდებულებები მოქმედ პროცესში ცალკე ნორმად არ არის განერილი და ჩამოყალიბებული, თუმცა, 57-ე მუხლის პირველი ნაწილი ცალსახად ამბობს, რომ დაზარალებულს ენიჭება მოწმის, როგორც ყველა უფლება, ასევე, ეკისრება მისი ყველა ვალდებულება. შესაბამისად, ამ დანაწესიდან გამომდინარე, დაზარალებული ვალდებულია: გამოცხადდეს სასამართლოს მიერ მისი გამოძახების შემთხვევაში, სწორად უპასუხოს დასმულ შეკითხვებს, სხდომის თავჯდომარის ნებართვის გარეშე არ დატოვოს სასამართლო განხილვის დარბაზი, არ დაარღვიოს და დაიკვას წესრიგი სასამართლოში საქმის განხილვისას და არ გაამჟღავნოს სისხლის სამართლის საქმის ის გარემოებები, რომლებიც მისთვის არის ცნობილი, თუკი, იგი გაფრთხილებულია ამის შესახებ.

დაზარალებულის სამართლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით აუცილებლად აღინიშნოს ახალი ინტიტუტი, რომელიც ამოქმედდა 2018 წლის „04“ მაისს - ეს არის მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 58<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, კოორდინატორის საქმეში ჩართვის მიზანს წარმოადგენს დაზარალებულისა და მოწმისთვის სამართლებრივ პროცესებში მონაწილეობის გამარტივება. იგი ეხმარება დაზარალებულს სტრესის შემცირებაში,



ასევე, ხელახალი ან მეორეულ ვიქტიმიზაციისგან თავის არიდებაში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორი საქმეში ერთვება მხოლოდ და მხოლოდ პროკურორის გადანყვეტილების საფუძველზე; დაუშვებელია პროცესის მწარმოებელი სხვა თანამდებობის პირის მიერ იქნეს იგი მონვეული. ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მისი ჩართვა საქმეში შესაძლებელია მხოლოდ საქმის სასამართლოში გაგზავნამდე, სასამართლო განხილვის ეტაპზე კოორდინატორის საქმეში ჩართვის საშუალებას კანონი არ ითვალისწინებს. გაუგებარია კანონმდებლის მიზანი იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ აძლევს პროცესის მწარმოებელ თანამდებობის პირს უფლებას მხოლოდ და მხოლოდ გამოძიების ეტაპზე ჩართოს კოორდინატორი საქმეში. უკეთესი იქნება, თუ კანონით გათვალისწინებული იქნება კოორდინატორის ჩართვა საქმეში სასამართლო განხილვისას, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, დაზარალებულისა და მონმის როგორც სამართლებრივი, ასევე, ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. უფრო დიდი შანსია დაზარალებული ბრალდებულს/ბრალდებულის ნათესავებსა და ახლობლებს შეხვდეს სასამართლო განხილვის ეტაპებზე, როდესაც ხშირია ხოლმე მათი მხრიდან დაზარალებულის მიმართ მუქარა, რაც, რა თქმა უნდა, დიდ სტრესს იწვევს დაზარალებულისთვის, ასევე, არის შემთხვევები, როდესაც ბრალდებულის ახლობლები ცდილობენ მონმეთა დაშინებას, ჩვენების გადათქმის მიზნით. თუ, სასამართლო განხილვის ეტაპზე გათვალისწინებული იქნება მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართვა, რომელიც მიაწვდის მათ არსებით ინფორმაციას მათი უფლებების შესახებ და დაეხმარება მათ სამართლებრივი პროცედურებიდან და მათში მონაწილე პირებისგან მომდინარე სტრესის დაძლევაში, მაშინ, მინიმუმამდე იქნება დაყვანილი მონმებზე ზემოქმედება და დაზარალებულის ფსიქოლოგიური მდგომარეობით მანიპულირება. მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორის მოქმედების ფარგლებთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ როგორც მონმეს, ასევე, დაზარალებულს, ნებისმიერ ეტაპზე შეუძლია, უარი თქვას კოორდინატორთან თანამშრომლობაზე.

### **III. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული ხარვეზები და გამოწვევები დაზარალებულის ცალკეულ უფლებებთან დაკავშირებით:**

#### **3.1. პირის დაზარალებულად ცნობა;**

როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, 2010 წელს განხორციელებულმა ცვლილებებმა და შეჯირებითმა სისხლის სამართლის პროცესმა დაზარალებულის სრულიად ახალი მოდელი შემოგვთავაზა, სადაც დაზარალებული იყო პროცესის პასიური მონაწილე და არა აქტიური მხარე. მიუხედავად იმისა, რომ 2014 წლისა და

2018 წლის ცვლილებებით, ასევე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით დაზარალებულის უფლებები გაუმჯობესდა, მაინც რჩება რამდენიმე ხარვეზი, რომელიც პრობლემებს ქმნის დაზარალებულის სამართლებრივ გარანტიებთან დაკავშირებით.

მართალია, ჩვენ მიერ ამ ქვეთავში განხილული საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით დარეგულირდა დაზარალებულის სასარგებლოდ და გაითვალისწინა მისთვის გაცილებით დიდი სამართლებრივი გარანტია, რომელიც მას შემდგომში დარჩენილი უფლებამოსილებით სარგებლობის მეტ საშუალებას მისცემს, თუმცა, მაინც საჭიროდ ჩავთვალე, განმეხილა ეს საკითხი, ვინაიდან, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე ეს საკითხი მწვავედ იდგა, როგორც დაზარალებულის უფლებების ხელმყოფელი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი საშუალება.

როგორც უკვე ვთქვით, მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლი არეგულირებს პროკურორის მიერ პირის დაზარალებულად ცნობასა და მასთან დაკავშირებულ პროცედურებს. კერძოდ, მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, პირის დაზარალებულად ცნობა ხდება გამოძიების სტადიაზე. გამოძიების დაწყებისთანავე, თუ პროკურორისთვის ცნობილი გახდა დანაშაულებრივი ქმედებით პირისთვის ზიანის მიყენების ფაქტი, მან იგი დადგენილებით უნდა სცნოს დაზარალებულად. პირის დაზარალებულად ცნობა არ არის დამოკიდებული დანაშაულის მსხვერპლის ნება-სურვილზე და არც მის ასაკსა და ფიზიკურ თუ ფსიქიკურ მდგომარეობაზე. პროკურორი ვალდებულია, მას შემდეგ, რაც დაადგენს პირის დაზარალებულად ცნობის მატერიალურ წინაპირობებს, მიანიჭოს მას დადგენილებით დაზარალებულის პროცესუალური სტატუსი. პირის დაზარალებულად ცნობა შესაძლებელია მხოლოდ საქმის სასამართლოში გაგზავნამდე. საქმის სასამართლოში არსებითი განხილვის ეტაპზე პირისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება სამართლებრივად შეუძლებელია.<sup>27</sup> 2014 წელს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში გათვალისწინებულმა ცვლილებებმა, დაზარალებულს და მის უფლებამონაცვლეს მიანიჭა უფლება, მიმართოს პროკურორს დაზარალებულის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით. ხოლო, მოთხოვნის შემდეგ, თუ პროკურორი დაადგენს პირის ან მისი უფლებამონაცვლის დაზარალებულად ცნობის საფუძველს, მან დადგენილებით პირი უნდა სცნოს დაზარალებულად ან დაზარალებულის უფლებამონაცვლედ. თუ დაზარალებულის სტატუსის მინიჭების მოთხოვნის შესახებ განცხადების შეტანიდან 48 საათში პირს არ დაუკმაყოფილდებოდა მოთხოვნა, ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულების შემთხვევაში, მას უფლება ჰქონდა საჩივრით მიემართა ზემდგომი პროკურორისთვის, ხოლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების შემთხვევაში კი, თუ ზემდგომი პროკურორი არ დააკმაყოფილებდა მის საჩივარს, მაშინ პირს უფლება ჰქონდა პროკურორის გადაწყვეტილება გაესაჩივრებინა

<sup>27</sup>სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, ავტორთა კოლექტივი, რედ. გიორგი გიორგაძე, თბილისი 2016 წ., 219;

პირველი ინსტანციის სასამართლოში. იგივე გასაჩივრების წესები მოქმედებდა პროკურორის მიერ დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გაუქმების შემთხვევაში (თუ მოგვიანებით აღმოაჩენდა, რომ არ იყო ამის საკმარისი საფუძველი), პირს უფლება ჰქონდა პროკურორის გადაწყვეტილება ერთჯერადად გაესაჩივრებინა ზემდგომ პროკურორთან, მძიმე და ნაკლებად მძიმე დანაშაულების დროს, ხოლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დროს, უფლება ჰქონდა, პროკურორის გადაწყვეტილება გაესაჩივრებინა პირველი ინსტანციის სასამართლოში, თუ ზემდგომი პროკურორი არ დააკმაყოფილებდა მის საჩივარს.

აღნიშნული ქმნიდა ძალიან დიდ პრობლემას. პირველრიგში, პრობლემა იყო ის საკითხი, რომ ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრებით საერთოდ არ იყო დაცული დაზარალებულის ის სამართლებრივი გარანტიები, რასაც გასაჩივრების ინსტიტუტი ემსახურება, კერძოდ, დაზარალებულის უფლებების დაუსაბუთებელი შეზღუდვა და პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების კონტროლი. უმრავლეს შემთხვევაში, ქვემდგომი პროკურორი დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმის გადაწყვეტილებას უთანხმებს ზემდგომ პროკურორს და, გასაჩივრების შემთხვევაში, ზემდგომი პროკურორი მას უცვლელად ტოვებს. ამასთან, ზემდგომი პროკურორის დასაბუთება გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ არის მინიმალურზე დაბალი. ამდენად, პრაქტიკულად, ჩვენ ვიგებთ მხოლოდ ზემდგომი პროკურორის მოსაზრებას, რომ ის ეთანხმება გამოცემულ დადგენილებას და არანაირი სხვა დასაბუთება მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას არ გააჩნია.<sup>28</sup>

როგორც კვლევები აჩვენებდა, ყველაზე მწვავედ ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულის შემთხვევაში სასამართლოში გასაჩივრების შეუძლებლობის საკითხი სისხლის სამართლის 115-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულთან მიმართებით. არის შემთხვევები, როდესაც პროკურატურა ცნობს პირს დაზარალებულად ან დაზარალებულის უფლებამონაცვლედ სსკ-ის 115-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით, ხოლო რიგ შემთხვევებში, უარს ეუბნებიან პირებს შესაბამისი პროცესუალური სტატუსის მინიჭებაზე.

მაგალითისათვის, მოქალაქე ლ.ა.-ს საქმეზე განმცხადებლის განმარტებით, 2015 წლის 17 ივნისს მისი მეუღლე ნაიყვანეს ნარკოლოგიურ შემონმებაზე. მან ვერ მოპარდა, რის შემდეგაც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებმა დააღვივნეს სამი აბი შარდმდენი საშუალება. მიუხედავად ნარკოლოგიური შემონმების ჩატარებისა, მას ნარკოტიკული საშუალების მოხმარება არ დაუდგინდა. განმცხადებლის მტკიცებით, ნარკოლოგიური დაწესებულებიდან წამოსვლის შემდეგ მისი მეუღლე ცუდად გახდა და რამდენიმე საათში გარდაიცვალა. გარდაცვლილის ოჯახის წევრების განმარტებით, პირის გარდაცვალების მიზეზი გახდა დიდი დოზით შარდმდენი საშუალების მიღება, რომელიც ნარკოლოგიური შემონმების დროს დააღვივნეს. ამ საქმესთან დაკავშირებით, აღიძრა სისხლის სამართლის საქმე სსკ-ის

<sup>28</sup>დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი 2016 წ., 9;

115-ე მუხლით. გარდაცვლილი ლ.ა-ს მეუღლე მ.ჯ. ან მისი რომელიმე ახლო ნათესავი არ არის ცნობილი დაზარალებულის უფლებამონაცვლედ. მოცემულ შემთხვევაში, კი მათ არ აქვთ საკანონმდებლო ბერკეტი, შესაბამისი პროცესუალური სტატუსის მინიჭების თაობაზე იდავონ სასამართლოში. ასევე, მიუხედავად არაერთი მცდელობისა, პროკურატურა გარდაცვლილის ნათესავებსა და მათი ინტერესების დამცველ ადვოკატს საქმის მასალების გაცნობაზე უარს ეუბნება. საგულისხმოა, რომ სიკვდილის მიზეზის დასადგენად დანიშნულია ექსპერტიზა, რომლის პასუხი ჯერ კიდევ არ არის ცნობილი.<sup>29</sup>

თუმცა, აღნიშნული შეიცვალა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით - საქართველოს მოქალაქეები - ხვიჩა ყირმიზაშვილი, გია ფაცურია და გვანცა გაგნიაშვილი და შპს „ნიკანი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლი განსაზღვრავს პირის დაზარალებულად ცნობას, დაზარალებულის უფლებამოვალეობებსა და დაზარალებულის სტატუსის მინიჭების წესებს. ხსენებული ნორმის მე-5 ნაწილი არეგულირებს საკუთარი ინიციატივით ან პირის განცხადების საფუძველზე პროკურორის მიერ აღნიშნული პირის დაზარალებულად ცნობას, ამასთან, განსაზღვრავდა, რომ გარდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევისა, პირის დაზარალებულად ცნობის განცხადებაზე ზემდგომი პროკურორის უარი არ საჩივრდება სასამართლო წესით. ამავე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, თუ პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანის შემდეგ გაირკვევა, რომ ამის საფუძველი არ არსებობს, პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას ამ დადგენილების გაუქმების თაობაზე. დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გაუქმების თაობაზე პროკურორის გადაწყვეტილება ყველა კატეგორიის დანაშაულის შემთხვევაში ერთჯერად საჩივრდებოდა ზემდგომ პროკურორთან, ხოლო სასამართლოში - მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში.

მოქალაქეები და საწარმოს წარმომადგენელი სარჩელებით ითხოვდნენ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის მე-5 ნაწილის მე-3 წინადადებისა და ამავე მუხლის მე-6 ნაწილის მე-3 წინადადების არაკონსტიტუციურად ცნობას საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან და 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით დადგენილია კანონის წინაშე თანასწორობის უფლება, ხოლო 42-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს სამართლიანი სასამართლოს უფლებას.

აღნიშნული მნიშვნელოვანი იყო დაზარალებულთათვის, ვინაიდან, არსებული საკანონმდებლო მონესრიგება ხარისხობრივად განასხვავებდა დარღვეულ უფლებებს და უშვებდა იმის შესაძლებლობას, რომ პირის ინტერესები მძიმე ან

<sup>29</sup>დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი 2016 წ.,13;

ნაკლებად მძიმე დანაშაულის შემთხვევაში დაუცველი დარჩებოდა. ამასთან, დაზარალებულის სტატუსის მოპოვება მნიშვნელოვან როლს ასრულებს დაზარალებული პირისთვის, რამდენადაც მას უჩნდებოდა საქმის მასალების გაცნობის შესაძლებლობა.

ხოლო, დაზარალებულად ცნობის თაობაზე უარის გასაჩივრების უფლების შემზღვევის საპირინონე სიკეთე იყო სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელება. აღნიშნული ლეგიტიმური მიზნის უზრუნველსაყოფად, გამართლებული იყო სამართლიანი სასამართლოს უფლების ზოგიერთი კომპონენტის შემზღვევა. სადავო ნორმების მოქმედების საფუძველზე, მცირდებოდა სასამართლოს მიერ დახარჯული რესურსი და დრო, რაც, საბოლოო ჯამში, გადატვირთვისაგან იცავდა სასამართლოს. ამასთან, დაზარალებულის მიერ გასაჩივრების ალტერნატიულ შესაძლებლობას შესაძლოა, კითხვის ნიშნის ქვეშ დაეყენებინა პროკურორის დისკრეცია.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად სცნო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის მე-5 ნაწილის მე-3 წინადადება და ამავე მუხლის მე-6 ნაწილის მე-3 წინადადება საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან და 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით და ძალადაკარგულად გამოაცხადა ისინი. შესაბამისად, პირებს უფლება მიეცათ პროკურორის მიერ დაზარალებულად ან დაზარალებულის უფლებამონაცვლისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ ან/და დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გაუქმების გადაწყვეტილებები მძიმე და ნაკლებად მძიმე დანაშაულების შემთხვევაშიც გაასაჩივრონ სასამართლოში, თუკი, ზემდგომი პროკურორი უარს იტყვის მათი საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სამართლიანი სასამართლოს უფლების მნიშვნელოვანი უფლებრივი კომპონენტია უფლებაშემზღვეველი ღონისძიებების/აქტების სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა. საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი ნორმები ცხადყოფს, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება მოიცავს უფლების დაცვის შესაძლებლობას საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული მართლმსაჯულების ინსტიტუციური გარანტიების, საერთო სასამართლოს სისტემის მეშვეობით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „გასაჩივრების უფლება ასრულებს პრევენციულ ფუნქციას და, ერთი მხრივ, წარმოადგენს უფლების დაცვის ეფექტურ მექანიზმს და უზრუნველყოფს შესაძლო შეცდომების თავიდან აცილებას, ხოლო, მეორე მხრივ, ქმნის დაშვებული შეცდომების გამოსწორების შესაძლებლობას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის №2/2/558 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-55) ამასთან, „გასაჩივრების უფლება უზრუნველყოფს პირის განცდის ჩამოყალიბებას,

რომ მას სამართლიანად მოეცნენ. კონკრეტული გადაწყვეტილების გასაჩივრება პირს შესაძლებლობას აძლევს, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს წინაშე კიდევ ერთხელ წარმოადგინოს საკუთარი პოზიციები, დაუპირისპირდეს მოპასუხე მხარეს, რაც ზრდის პირის სანდოობის აღქმას სასამართლო გადაწყვეტილების შედეგისადმი“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის №2/1/598 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნუგზარ კანდელაკი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-45).<sup>30</sup>

დაზარალებულს, როგორც პირს, რომელსაც უშუალოდ დანაშაულის შედეგად მორალური, ფიზიკური, თუ ქონებრივი ზიანი მიადგა, კანონმდებელი აღჭურავს გარკვეული უფლებებით. განსახილველ შემთხვევაში სადავოდ გამხდარი ნორმა უზღუდავს პირს პროკურორის იმ გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრებას, რომლითაც მას არ ენიჭება (უუქმდება) დაზარალებულის სტატუსი და კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში იზღუდებოდა დაზარალებულის კანონით მინიჭებული უფლებების სასამართლოს მეშვეობით დაცვის შესაძლებლობა. მოპასუხე მხარემ უთითებდა გადაწყვეტილების ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრების შესაძლებლობაზე, როგორც უფლების დაცვის ალტერნატიულ მექანიზმზე. ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრების გზით, შესაძლებელია, შემცირდეს უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების მიღების რისკი. ამავდროულად, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი იცავს პირის უფლებას, დაიცვას საკუთარი უფლებები ინსტიტუციურად და სისტემურად დამოუკიდებელ სასამართლო ორგანოში. ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრების შესაძლებლობა და სასამართლოს წესით გასაჩივრება არ არის უფლების დაცვის იდენტური საშუალებები, ვინაიდან, ამ შემთხვევაში ქვემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება, ძირითად შემთხვევებში, შეთანხმებულია ზემდგომ პროკურორთან, როგორც მის ხელმძღვანელ პირთან, ხოლო სასამართლო არის დამოუკიდებელი და ნეიტრალური. შესაბამისად, ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრების შესაძლებლობა ვერ ჩაანაცვლებს სამართლიანი სასამართლოს უფლებას. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო დაადგინა, რომ სადავო ნორმებით გათვალისწინებული აკრძალვა ზღუდავდა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულ უფლებას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ამ გადაწყვეტილების ფარგლებში, ასევე, იმსჯელა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის მე- ნაწილის მე-3 წინადადებისა და ასევე, ამავე მუხლის მე-6 ნაწილის მე-3 წინადადებაზე საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით, რომლის თანახმადაც, „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა,

<sup>30</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება - საქართველოს მოქალაქეები - ხვიჩა ყირმიზაშვილი, გია ფაცურია და გვანცა გავნიაშვილი და „მშს ნიკანი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-5;

პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დანაშაულის კატეგორიზაცია ნაკლებად მძიმე, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებად ხდება სასჯელად გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადის მიხედვით, თავის მხრივ, ამა თუ იმ დანაშაულისათვის სასჯელს განსაზღვრავს კანონმდებელი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „კანონმდებელი განსაზღვრავს ქმედების საშიშროების ხარისხს და ადგენს შესაბამის სანქციებს. ამავე დროს, არსებობს პრეზუმფცია იმისა, რომ ამა თუ იმ ქმედებისათვის გათვალისწინებული სანქციის მოცულობა მიუთითებს მისი საზოგადოებრივი საშიშროების და გასაკიცხაობის ხარისხზე“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბერის №2/7/779 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე დავით მალანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-28). შესაბამისად, დანაშაულის მიმართ განსაზღვრული თავისუფლების აღკვეთის ზომა, როგორც წესი, დამოკიდებულია მისი საზოგადოებრივი საშიშროებისა და გასაკიცხაობის ხარისხზე. შესაძლებელია, ცალკეულ შემთხვევაში განსხვავებული იყოს დანაშაულიდან მომდინარე საზოგადოებრივი საშიშროება, დამნაშავის გასაკიცხაობის ხარისხი და არ განსხვავდებოდეს დაზარალებულისათვის დანაშაულით მიყენებული ფიზიკური, მორალური და ქონებრივი ზიანის მოცულობა. ამასთან, შესაძლოა, კანონმდებელმა სხვადასხვა დროს სხვადასხვა კატეგორიაში მოაქციოს ესა თუ ის დანაშაული და, შესაბამისად, გადაანაცვლოს დაზარალებულის სტატუსზე წვდომის შესაძლებლობები, თუმცა, ბუნებრივია, დანაშაულის კვალიფიკაციასთან ერთად, ვერ შეიცვლება პირის დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ხარისხი და დაზარალებულად ცნობის ინტერესი (იხ. MutatisMutandis საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის N1/4/557,571,576 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-13).<sup>31</sup> აქედან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით აღიარებული თანასწორობის უფლების შეზღუდვა.

შესაბამისად, ამ საკითხთან დაკავშირებით დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ ერთი-ორად გაიზარდა დაზარალებული სამართლებრივი გარანტიები, რომელიც უზრუნველყოფს

<sup>31</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება, - საქართველოს მოქალაქეები - ხვიჩა ყირმიზაშვილი, გია ფაცურია და გვანცა გავნიაშვილი და „შპს ნიკანი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-5;

დანაშაულის მსხვერპლისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების დაუბრკოლებლად რეალიზაციას.

ის ფაქტი, რომ გასაჩივრების უფლება ასრულებს პრევენციულ ფუნქციას, წარმოადგენს უფლების დაცვის ეფექტურ მექანიზმს, უზრუნველყოფს შესაძლო შეცდომების თავიდან აცილებას და ქმნის დაშვებული შეცდომების გამოსწორების შესაძლებლობას მოწმობს სასამართლო პრაქტიკაც ამ საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, 2019 წლის 05 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოდან N1-01202/1617 მომართვის წერილით გამოთხოვილი იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამი განჩინება, საიდანაც, ორ შემთხვევაში დაკმაყოფილდა დაზარალებულის (უფლებამონაცვლის) საჩივარი დაზარალებულად (დაზარალებულის უფლებამონაცვლის) თაობაზე. კერძოდ, 2015 წლის 22 აპრილის განჩინებით თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ შორენა გუნცაძემ დააკმაყოფილა გარდაცვლილი დის საჩივარი დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის თაობაზე. როგორც საქმის ფაბულიდან იკვეთებოდა, 2014 წლის 16 დეკემბერს თბილისის შსს მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს პირველ განყოფილებაში დაიწყო გამოძიება სსკ-ის 108-ე მუხლით. მართალია, სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში ბრალდებულის სახით მიცემული არავინ არ იყო, თუმცა, ფაქტი იყო, რომ სასიკვდილო შედეგი დადგა დანაშაულის შედეგად, რომელიც მიეკუთვნება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს. 2015 წლის 2 მარტს დაზარალებულის დამ (რომელიც იყო გარდაცვლილის ერთადერთი ახლო ნათესავი) მიმართა პროკურორს განცხადებით და მოითხოვა დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობა, რაზეც უარი მიიღო, იმ ზოგადი განმარტებით, რომ არ იყო მისი დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის საფუძველი. შემდეგ, გარდაცვლილის დამ მიმართა ზემდგომ პროკურორს, რაზეც მიიღო იგივე პასუხი. საბოლოოდ, გარდაცვლილის დამ ხსენებული უარი გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოში, სადაც მისი საჩივარი დაკმაყოფილა. მოსამართლემ განმარტა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-16 ნაწილის თანახმად, პროკურორი ვალდებულია საქმესთან დაკავშირებული ყველა გადანყვებილება მიიღოს დადგენილების სახით, შესაბამისად, დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობაზე უარიც უდნა მიეღო დადგენილების სახით და არა სიტყვიერად. ამასთან, სასამართლომ განმარტა, რომ ის ფაქტი, რომ იმ დრომდე განზრახი მკვლელობის მუხლით ბრალი არ წარდგენია არავის, არ ნიშნავს, რომ დანაშაულს დაზარალებული არ ყავს. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ გარდაცვლილის დას უსაფუძვლოდ ეთქვა უარი დაზარალებულის უფლებამოსვლედ ცნობის თაობაზე.

ასევე, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის ელენე გოგუაძის 2017 წლის 02 მაისის განჩინებით დაკმაყოფილდა დაზარალებულის ინტერესების დამცველი ადვოკატის საჩივარი და პირი ცნობილ იქნა დაზარალებულად. როგორც განჩინებიდან ირკვევა, 2017 წლის 15 მარტს თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო გამოძიება სსკ-ის 144<sup>1</sup> მუხლის მე-2



ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაც გულისხმობს, წამებას, რომლის მიზანია ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება ანდა პირის დასჯა მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისთვის, ჩადენილი მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ. შემდგომში დაზარალებულის განმარტებით, 2017 წლის 16 თებერვალს, 18:00 საათზე ორმა პოლიციის თანამშრომელმა გადაიყვანა იგი ვაკე-საბურთალოს პოლიციის სამმართველოს მე-5 განყოფილებაში და მოითხოვა მისგან აღიარებითი ჩვენების მიცემა, თანაც ისეთ ქმედებაზე, რომელიც მას ჩადენილი არ ჰქონდა. ამასთან, დაზარალებული ინფორმაციით, ადგილი ჰქონდა მის მიმართ მუქარასა და ფიზიკურ ძალადობას. ამის შემდგომ, ვინაიდან, დაზარალებულის ფიზიკური მონაცემები არ ემთხვეოდა რეალური დამნაშავეს გარეგნობას, იგი გამოუშვეს განყოფილებიდან. დაზარალებულის განმარტებით, ამის შემდგომ დამძიმდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და საჭირო გახდა მისი გადაყვანა სამედიცინო დაწესებულებაში. ოჯახის მიერ განხორციელდა სამედიცინო ექსპერტიზა, რომელიც ადასტურებდა პირის ფიზიკურ დაზიანებებს. სასამართლომ ამ განჩინებაშიც განმარტა, რომ იმის მიუხედავად, ბრალი წარედგინა თუ არა ვინმეს, არსებობს სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც ცხადყოფს, რომ პირი არის დანაშაულის მსხვერპლი. შესაბამისად, იმის მიუხედავად, გამოძიებას დადგენილი აქვს თუ არა, თუ რომელმა კონკრეტულმა პოლიციის თანამშრომელმა მიაყენა მას ეს ზიანი, ფაქტი არის ერთი, რომ პირის მიმართ განხორციელდა დანაშაულებრივი ქმედება, რაც საკმარის საფუძველს იძლევა იმისთვის, რომ იგი იქნეს დაზარალებულად ცნობილი. გარდა ამისა, სასამართლო განმარტავს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის მე-6 ნაწილი პროკურორს აძლევს შესაძლებლობას, რომ, თუკი, გამოძიების შემდგომ ეტაპზე ნათელი გახდება, რომ არ იყო პირის დაზარალებულად ცნობის საკმარისი სამართლებრივი საფუძველი, მას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გაუქმების შესახებ. ყოველივე აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ ამ საქმეზე ეს პირი ცნობილი უნდა ყოფილიყო დაზარალებულად.

ზემოთ განხილული ორი განჩინებიდან ცხადად ჩანს, რომ სასამართლოს მიერ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების გადასინჯვა ხშირ შემთხვევაში არის გამართლებული, რათა მაქსიმალურად თავიდან იქნეს აცილებული ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებში არამართებული ჩარევა. ამასთან, ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ორივე განჩინება ეხება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შესახებ ფაქტს; საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილების შემდეგ, დიდი ალბათობით, გახშირდება სასამართლოს მიერ ისეთი განჩინებების მიღება, რომლითაც დაკმაყოფილდება ან უარი ეთქმევა მძიმე ან ნაკლებად მძიმე დანაშაულების მსხვერპლების საჩივარზე, დაზარალებულად (დაზარალებულის უფლებამონაცვლედ) ცნობის თაობაზე.

### 3.2. საქმის მასალების გაცნობისა და სისხლის სამართალწარმოების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დაზარალებულს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დაზარალებულის მიერ ინფორმაციის მიღებისა და მასალების გაცნობის თაობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, პროკურორი ან/და გამომძიებელი ხსენებულ ქმედებასთან დაკავშირებით ადგენს ოქმს. ხოლო, თუ დაზარალებულის მოთხოვნის დაკმაყოფილება ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს, პროკურორი ან/და გამომძიებელი ვალდებულია მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველზე აღმოფხვრის თანავე აცნობოს დაზარალებულს ამის შესახებ და, შესაბამისად, მიანდოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გააცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალები.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული უფლება დაზარალებულს მიენიჭა 2014 წელს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად.

გამომძიების ინტერესი არის ძალიან ფართო ცნება და შეიძლება გახდეს მრავალნაირი ინტერპრეტაციის საფუძველი. შესაბამისად ყოველთვის, როდესაც დაზარალებულს უარს ეტყვიან ხსენებული უფლებით სარგებლობაზე, შესაბამისი თანამდებობის პირი ვალდებული უნდა იყოს მოახსენოს დაზარალებულს არა ზოგადი საფუძველი, არამედ ის კონკრეტული მიზეზი, რომელმაც გამოიწვია დაზარალებულისთვის ამ უფლების რეალიზაციაზე უარის თქმა. მაგალითად: დაზარალებულს შესაძლებელია სურდეს საქმის მასალების გაცნობის შემდეგ მიღებული ინფორმაცია გააუღეროს მედია სივრცეში, რამაც შესაძლოა დიდი ზიანი მიაყენოს გამოძიებას, ვინაიდან, ხშირად საქმეზე მიმდინარეობს ფარული საგამომძიებო მოქმედებები, მაგ: სატელეფონო მიყურადება, რომლის შესახებაც არსებული ცნობის გახმაურებამ შესაძლოა მიგვიყვანოს ამ საგამომძიებო მოქმედების უშედეგობამდე. თუკი, იმ პირებისთვის, რომლის მიმართაც მიმდინარეობს საგამომძიებო მოქმედებები, ცნობილი გახდება, რომ მიმდინარეობს მათი სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩანერა, ისინი ტელეფონით აღარ ისაუბრებენ იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელსაც შესაძლოა, არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს გამოძიებისთვის. - ასეთ შემთხვევებში, რა თქმა უნდა, დაზარალებულს უარი უნდა ეთქვას საქმის მასალების გაცნობაზე. გამომძიებელი ან/და პროკურორი, ვალდებული უნდა იყოს აუხსნას დაზარალებულს, კონკრეტული

მიზგზი და ამ საშიშროების აღმოფხვრისთანავე, მისცეს დაზარალებულს შესაძლებლობა, გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს.

გარდა ხსენებულისა, დაზარალებულს უნდა ეძლეოდეს შესაძლებლობა, არა მხოლოდ გაეცნოს, არამედ იქონიოს სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლები. გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, სისხლის სამართლის საქმეები საკმაოდ დიდი მოცულობისაა, ამიტომ, დაზარალებულისთვის ძალიან რთულია მიიღოს მისთვის საჭირო ინფორმაცია მასალების გაცნობის პროცესში, თუ არ მიეცა მისი დაასლებისა და შემდგომ მათი დამუშავების შესაძლებლობა.

ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ არც თუ ისე იშვიათ შემთხვევაში, გამოძიება მიმდინარეობს ორი ან მეტი დანაშაულის ფაქტზე. შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეებში ხშირად იქმნება სიტუაცია, როდესაც საქმეში ფიგურირებს ორი ან მეტი დაზარალებული. აქედან გამომდინარე, საქმის მასალები შესაძლოა მოიცავდეს, როგორც ერთი დაზარალებულის, ასევე, მეორე ან მესამე და დაზარალებულის შესახებ არსებულ პერსონალურ ინფორმაციას. ამასთან, შესაძლებელია, საერთოდ არ იყოს პირი დაზარალებული და იყოს მონმე სისხლის სამართლის საქმეზე, შესაბამისად, საქმის მასალები მოიცავდეს პერსონალურ მონაცემებს მათ შესახებ. მაგალითად: როდესაც, გამოძიების ეტაპზე ხდება პირის, მონმის სახით, გამოკითხვა, გამოკითხვის ოქმში გამოყოფილია სპეციალური გრაფა, სადაც ეთითება იმის შესახებ, პირი ნასამართლევა თუ არა. დადებითი პასუხის შემთხვევაში, ეთითება შესაბამისი მუხლი, რომლითაც პირი არის ნასამართლევი. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის<sup>32</sup> თანახმად, პირის ნასამართლობასთან დაკავშირებული ინფორმაცია არის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი, რომლის დამუშავებაც ამავე კანონის მე-6 მუხლის 1-ელი ნაწილის<sup>33</sup> თანახმად, აკრძალულია. ხსენებული მაგალითიდან გამომდინარე, სახვებით მარტივადაა შესაძლებელი, ერთი პირის შესახებ არსებული განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემი ცნობილი გახდეს ისეთი პირისთვის (ამ შემთხვევაში, დაზარალებულისთვის), რომლისთვისაც ამის ცნობა დაუშვებელია, ვინაიდან, გამოკითხვის ოქმი არის საქმის მასალა, შესაბამისად, დაზარალებულის მიერ საქმის მასალების გაცნობის შემთხვევაში, მისთვის ხელმისაწვდომია ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია პირის/პირების შესახებ. - შესაბამისად, დაზარალებულის მიერ სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის შედეგად, შესაძლოა ზიანი მიადგეს მესამე პირის ინტერესებსაც. ყოველივე აქედან გამომდინარე, აუცილებელია დაზარალებულს სისხლის სამართლის საქმის

<sup>32</sup> „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი“, (2019 წლის 08 მაისის მდგომარეობით), მუხლი მეორე, ქვეპუნქტი „ბ“;

<sup>33</sup> „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი“, (2019 წლის 08 მაისის მდგომარეობით), მუხლი მეორე, ქვეპუნქტი „ბ“;

მასალები მიეწოდებოდა დაპტრიხული სახით. კერძოდ, რეკომენდირებულია, დაპტრიხული იყოს მესამე პირის შესახებ არსებული მონაცემი.

ის ფაქტი, რომ დაზარალებულს არ აქვს სისხლის სამართლის საქმის მასალებისთვის ასლების გადაღების შესაძლებლობა, დიდ პრობლემას უქმნის დაზარალებულს სხვა უფლებების რეალიზაციაში. მაგ: მას არ ეძლევა შესაძლებლობა საკმარისი დოკუმენტაცია წარადგინოს ალტერნატიულ ექსპერტიზაზე, რომელიც მისი ინიციატივით ინიშნება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია დაზარალებულს ჰქონდეს სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლები, რომლებიც დაეხმარება მას შემდგომ თავისი უფლებების სრულყოფილად რეალიზაციაში.

### **3.3. გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შენწყვეტის შესახებ პროკურორის გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმი**

2010 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანო არის პროკურატურა. 1998 წლის კოდექსისგან განსხვავებით, დაზარალებული არ წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტს; ახალი რეგულაციებით, დაზარალებულს ენიჭება მხოლოდ პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება.

თანამედროვე დემოკრატიულ სამართლებრივ სახელმწიფოში დანაშაულის ჩამდენი პირის დასჯა მხოლოდ სახელმწიფოს უფლებაა, ამიტომ დაზარალებულის ინტერესი – თავად განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა და პიროვნების დასჯა, არ შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნეს. ვინაიდან, დანაშაულით ირღვევა საჯარო წესრიგი, სისხლის სამართლის პროცესიც მიმართულია იქითკენ, რომ მოაგვაროს კონფლიქტი, პირველ რიგში, სავარაუდო დამნაშავესა და საზოგადოებას შორის. ამიტომაც, დაზარალებული სისხლის სამართლის პროცესში მთავარ როლს არ ასრულებს. თანამედროვე კრიმინალური პოლიტიკის მიზანია, განდევნოს პირადი ანგარიშსწორება და შექმნას ისეთი მართლმსაჯულება, რომელიც პასუხს აგებს საზოგადოების წინაშე და მიმართული იქნება დამნაშავე პირის რესოციალიზაციისა და მის კანონმორჩილ პიროვნებად ჩამოყალიბებაზე. გადაწყვეტილება იმის თაობაზე, უნდა დაისაჯოს თუ არა დანაშაულის ჩამდენი და რა ფორმით უნდა აგოს მან პასუხი, უნდა მიიღოს არა დაზარალებულმა, არამედ ამისათვის შექმნილმა ლეგიტიმურმა სახელმწიფო ორგანოებმა.<sup>34</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის თანახმად სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანო არის

<sup>34</sup>გიორგი თუმანიშვილი, დაზარალებული თანამედროვე სისხლის საპროცესო სამართალში, სამართლის ჟურნალი N2, 2009წ, 75-76;

პროკურატურა. ხოლო, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების პროცესში პროკურორი სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით, რა მომენტშიც, იგი ხელმძღვანელობს საჯარო ინტერესით.<sup>35</sup>

იუსტიციის მინისტრის N181 ბრძანებაში ასახულია ის ზოგადი პრინციპები და კრიტერიუმები, რაც დაეხმარება პროკურორს დისკრეციული სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას სამართლიანი და ობიექტური გადაწყვეტილების მიღებაში. გარდა ამისა, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას, პროკურორი ხელმძღვანელობს თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. კანონით განსაზღვრული პრინციპების დაცვით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, პროკურორმა თავისი შინაგანი რწმენასა და შეხედულებაზე დაყრდნობით, უნდა გადაწყვიტოს, დაიწყოს თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნა.

ზემოთ აღნიშნული იუსტიციის მინისტრის ბრძანება (N181), ადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის ტესტს - ე.წ. „სრულ ტესტს“, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც, პროკურორი უფლებამოსილია დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა. აღნიშნული, თავის მხრივ, შედგება ორი ტესტიგან - მტკიცებულებითი ტესტი, - რა დროსაც პროკურორმა უნდა განსაზღვროს, არსებობს თუ არა პირის მიმართ საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ქმნის დასაბუთებულ ვარაუდს, რომ ამ პირმა ჩაიდინა დანაშაული. და ასევე, არის მეორე ტესტი, - საჯარო ინტერესის ტესტი, რა დროსაც, შესაძლებელია პირის მიმართ არსებობდეს მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტისთვის, თუმცა, დევნის დაწყება ეწინააღმდეგებოდეს საჯარო ინტერესს.<sup>36</sup> - მაგალითად, განვიხილოთ შემდეგი საქმე: გამოძიება მიმდინარეობდა რამდენიმე პირის მიმართ უკანონო სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე მუხლის 1-ელი ნაწილით. გამოძიებით დადგენილი იყო, რომ ყოველი მათგანი რეგისტრაციის გარეშე ახორციელებდა სამეწარმეო საქმიანობას, რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება. აღნიშნული პირები მიღებულ შემოსავალს არ ადეკლარირებდნენ კანონით დადგენილი წესით და არ იხდიდნენ თანხებს სახელმწიფო ბიუჯეტში. თუმცა, აღსანიშნავი იყო მათგან ერთ-ერთი პირის ქმედება, რომელიც რეგისტრაციის გარეშე სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებდა მხოლოდ 2018 წელს, ხოლო 2018 წლის წლიური საშემოსავლო დეკლარაციის წარგდენის უფლება პირს ჰქონდა 2019 წლის 1 აპრილამდე. ხსენებულმა პირმა, საგამოძიებო ორგანოში გამოკითხვის შემდგომ დაადეკლარირა მიღებული შემოსავალი 2019 წლის 1 აპრილამდე და შესაბამისი თანხა (მიღებული შემოსავლის 20%) გადაიხადა

<sup>35</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, (2019 წლის 08 მაისის მდგომარეობით), მუხლი 16;

<sup>36</sup> იუსტიციის მინისტრის ბრძანება N181, სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ, II. სისხლისსამართლებრივი დევნის სახელმძღვანელო პრინციპები, 3. პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე.

ბიუჯეტში. პროკურორმა განხილა ზ/ა შემთხვევა და მიუხედავად იმისა, რომ საქმეზე იყო ყველა საჭირო მტკიცებულება, იმისთვის, რომ დაენყო სისხლისსამართლებრივი დევნა, მან უარი თქვა დევნის დაწყებაზე საჯარო ტესტიდან გამომდინარე - კერძოდ, გაითვალისწინა მან ის ფაქტი, რომ პირი წინათ არ იყო ნასამართლევი, რომ უკანონო სამეწარმეო საქმიანობა მიეკუთვნებოდა ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, რომ პირმა აანაზღაურა შესაძლო ზიანი, რომელიც ბიუჯეტს შესაძლოა მისგომოდა მისი დანაშაული ქმედების შედეგად და გადაწყვიტა, რომ არ არსებობდა საჯარო ინტერესი შესაბამისად, უარი თქვა, ამ პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, თუ რამხელა კომპეტენციაა საჭირო, იმისთვის, რომ პირის მიმართ სამართლიანად და კანონის დაცვით განხორციელდეს სამართლებრივი დევნა. შესაბამისად, დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპების შესაფერისია საქართველოში მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, რომელიც სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების უფლებას ანიჭებს მხოლოდ შესაბამისი ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილ სახელმწიფო უწყებას - პროკურატურას.

2010 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, დაზარალებულს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებასთან დაკავშირებით მიენიჭა შემდეგი უფლება: თუკი, პროკურორი უარს იტყვის სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე, ან მიიღებს დადგენილებას გამოძიების/სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, დაზარალებულს უფლება აქვს, გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილება ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან. ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ან დანაშაული, რომელიც, კანონის თანახმად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარეა. ამ შემთხვევაში, თუ ზემდგომი პროკურორი არ დააკმაყოფილებს საჩივარს, დაზარალებულს უფლება აქვს, პროკურორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში. სასამართლოს განჩინება გამოაქვს 15 დღის ვადაში, ზეპირი მოსმენით ან მის გარეშე. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.<sup>37</sup> სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობა ვრცელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup>-144<sup>3</sup> მუხლებით, 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 335-ე მუხლით ან/და 378-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულზე, თუ იგი

<sup>37</sup>სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, (2019 წლის 08 მაისის მდგომარეობით), მუხლი 106, ნაწილი 1<sup>1</sup>;

ჩადენილია სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, აგრეთვე მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ.<sup>38</sup>

დაზარალებულის ამ უფლებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ როგორც წესი, პროკურორი მოქმედებს თავის ზემდგომ პროკურორთან შეთანხმებით, მითუმეტეს, ისეთ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება. აქედან გამომდინარე, დაზარალებულის მიერ დევნის დაწყებაზე უარის ან დევნის შესახებ გადაწყვეტილებას გასაჩივრება ზემდგომ პროკურორთან არის ფორმალური ხასიათის და თითქმის, არასდროს აქვს აზრი. აქედან გამომდინარე, სამართლიანი იქნება, თუკი დაზარალებულს მიეცემა უფლება, გასაჩივროს სასამართლოში ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება უარი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე ან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულების შემთხვევაშიც.

### 3.4. მტკიცებულებების წარდგენის უფლება

1998 წლის სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით, დაზარალებული უფლებამოსილი იყო დაეყენებინა შუამდგომლობა - მტკიცებულების გამოთხოვის, საგამოძიებო მოქმედების ჩატარების, სასამართლო მოქმედების ჩატარების, სისხლის სამართლის საქმის გარემოების შემოწმების ან/და სამართალწარმოების პროცესში წამოჭრილი სხვა საკითხების შესახებ. დაზარალებული უფლებამოსილი იყო სამართალწარმოების მიმდინარეობისას, თავისი ინიციატივით, წარმოედგინა მტკიცებულება. ეს იყო ინკვიზიციური პროცესი, სადაც დაზარალებული, ისევე, როგორც ბრალდებისა და დაცვის მხარე წარმოადგენდა მხარეს სამართალწარმოებაში და ჰქონდა ფართო უფლებამოსილებები.

მოქმედი კანონმდებლობით, სადაც სისხლის სამართლის პროცესს აქვს შეჯიბრებითი ხასიათი, დაზარალებულის უფლებები, რომელსაც იგი 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ფლობდა, მინიმუმამდეა დაყვანილი; დაზარალებული აღარაა პროცესის აქტიური მხარე და შესაბამისად, მას არც მტკიცებულების წარდგენისა და არც მისი გამოკვლევის უფლება აღარ აქვს. მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესის მხარეს აქვს უფლება, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით წარადგინოს და გამოიკვლიოს მტკიცებულება.

დაზარალებულისთვის აღნიშნული უფლების არარსებობა წარმოადგენს ძალიან დიდ პრობლემას, ვინაიდან, მას არ აქვს საშუალება, რაიმე სახით იბრძოლოს სამართლიანობისთვის; იგი მთლიანად დამოკიდებული ხდება ბრალდების მხარის

<sup>38</sup> საქართველოს კანონი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ, (2019 წლის 08 მაისის მდგომარეობით), მუხლი 19, ნაწილი პირველი, ქვეპუნქტი „ა“.

საქმისადმი კეთილსინდისიერ დამოკიდებულებაზე. დაზარალებულს უნდა ჰქონდეს მტკიცებულების წარდგენის უფლება ან მტკიცებულების მოპოვების შესახებ შუამდგომლობის დაყენების უფლება. ხშირად არის შემთხვევები, როდესაც ძალადობრივი დანაშაულის შედეგად, ჭიანურდება როგორც დაზარალებულად ცნობის, ასევე, დაზარალებულის სამედიცინო მდგომარეობის შესახებ სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის გაცემა. რა დროის განმავლობაშიც, დაზარალებულის ფიზიკური მდგომარეობა უმჯობესდება, იმასთან შედარებით, ვიდრე დანაშაულის ჩადენისას ჰქონდა. ასეთ შემთხვევებში, დაზარალებულის მიერ საკუთარი ინიციატივით ჩატარებულ სამედიცინო ექსპერტიზას აზრი ეკარგება, ვინაიდან, მას მტკიცებულებითი ძალა არ აქვს, რადგან უფლებამოსილი პირის - პროცესის მხარის მიერ არ არის მოპოვებული. ასევე, შესაძლებელია, რომ იმ მომენტისათვის, დაზარალებულს არ ჰქონდეს შესაბამისი მატერიალური სახსრები ექსპერტიზის ჩატარებისთვის. ამასთან, ხშირია შემთხვევები, როდესაც დაზარალებული არ ეთანხმება ბრალდების მიერ ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნას და თვლის, რომ დანაშაულის შედეგად მას გაცილებით მძიმე დაზიანებები მიაღვა, ვიდრე ეს დასკვნაშია მითითებული. ასეთ შემთხვევაში, დაზარალებულს უნდა ჰქონდეს უფლება, ჩაიტაროს ალტერნატიული ექსპერიზა ან იშუამდგომლოს ბრალდების მხარესთან, რომ დანიშნოს ბრალდების მხარემ ალტერნატიული სამედიცინო ექსპერტიზა, რომლის დასკვნაც პირდაპირ დაერთდება სისხლის სამართლის საქმეს.

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც საგამოძიები ორგანოში შედის დაზარალებულის განცხადება, რომელსაც თან ახლავს დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს დანაშაულის ფაქტს. ასეთ შემთხვევაში, ხსენებული დოკუმენტაციის დამაგრება საქმეზე ხდება მხოლოდ დათვალიერების შედეგად, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას მტკიცებულებითი ძალა არ აქვს, რაც დროში აჭიანურებს პროცესს. ასევე, დაზარალებულები ხშირ შემთხვევებში წარადგენენ დანაშაულის დამადასტურებელ დოკუმენტებს ასლის სახით. ასეთ შემთხვევაში, აუცილებელია პროკურორის შუამდგომლობის შედეგად მიღებული სასამართლო განჩინების საფუძველზე მოხდეს შესაბამისი დოკუმენტების დედნების ამოღება დაზარალებულისგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ დოკუმენტაციას მტკიცებულებითი ძალა არ ექნება.

„პროკურატურას ყველა მექანიზმი გააჩნია დაზარალებული მოქალაქის ბლოკადაში მოსაქცევად. ვთქვათ, დაზარალებულს მიაჩნია, რომ მას მიაღვა გაცილებით მძიმე დაზიანება, ვიდრე ეს დასკვნაშია წარმოდგენილი. მას არ აქვს ბერკეტი, დაიცვას თავისი ინტერესი, განსხვავებით ბრალდებულისგან, რომელსაც შეუძლია დაიქირაოს ადვოკატი, მოითხოვოს ექსპერტიზა და ა.შ, დაზარალებული კი მთლიანად პროკურატურაზეა ჩამოკიდებული და დამოკიდებული. სამხარაულის



სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიურო დასკვნების გაცემას ხშირად 1 წლითაც აჭიანურებს, ამასობაში კი, პაციენტის მდგომარეობის ამსახველი სურათი იცვლება.<sup>39</sup>

მართალია დაზარალებული არის სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე, რაც სავსებით შეესაბამება თანამედროვე დემოკრატიული ქვეყნის სამართლებრივ სტანდარტებს, თუმცა, იმისთვის, რომ დაზარალებულს მიეცეს მტკიცებულების წარდგენის ან მტკიცებულების მოპოვების შესახებ შუამდგომლობის დაყენების უფლება, თუნდაც, მხოლოდ ბრალდების მხარესთან, არ არის აუცილებელი დაზარალებული მოგვევლინოს, როგორც სისხლის სამართლის პროცესის აქტიური მხარე. ამისთვის, საკმარისია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში გაჩნდეს ჩანაწერი, რომელიც გაითვალისწინებს დაზარალებულისთვის ამ უფლებას.

რეალობას არ ვიქნებით აცდენილნი, თუ ვიტყვით, რომ უკლებლივ ყველა დაზარალებულს არ აქვს ის მინიმალური სამართლებრივი ცოდნა, რითაც შეძლებს შეათვასოს რელევანტურია თუ არა ესა თუ ის მტკიცებულება საქმისთვის. ამიტომ, თუ მას ექნება მტკიცებულების წარდგენის ან შუამდგომლობის დაყენების უფლება ბრალდების მხარესთან, ბრალდების მხარესაც უნდა ჰქონდეს უფლება შეათვასოს დაზარალებულის მიერ წარდგენილი მტკიცებულება და საქმისადმი რელევანტურობით გადანყვიტოს, არის თუ არა აუცილებელი მისი დართვა სისხლის სამართლის საქმეზე. ამასთან, თუკი დაზარალებულს ექნება მტკიცებულების წარდგენის ან მტკიცებულების მოპოვების შესახებ შუამდგომლობის დაყენების უფლება, მას უნდა ჰქონდეს ამ უფლების რეალიზაციაზე უარის თქმის გასაჩივრების უფლებაც. ვინაიდან, თუკი არსებობს უფლება, უნდა არსებობდეს მისი დაცვის მექანიზმიც. ამასთან, აუცილებელია, რომ ხსენებულ უფლების რეალიზაციაზე უარის თქმის შესახებ პროკურორის/გამომძიებლის გადანყვიტოების გასაჩივრების უფლება მას უნდა ჰქონდეს, არა მხოლოდ პროკურორთან ან/და ზემდგომ პროკურორთან, არამედ სასამართლოშიც. ვინაიდან, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, გამომძიებელი, პროკურორი და ზემდგომი პროკურორი - ზოგადად ბრალდების მხარე - მუშაობენ კოორდინირებულად და მათი გადანყვიტოებები, ხშირ შემთხვევაში, შეთანხმებულია ერთმანეთთან.

<sup>39</sup> სასამართლო სამედიცინო ექსპერტის მაია ნიკოლეიშვილის ინტერვიუ; [http://www.sazogadoeba.ge/index.php?post\\_id=2293](http://www.sazogadoeba.ge/index.php?post_id=2293)

#### IV. საერთაშორისო გამოცდილება დაზარალებულთან მიმართებით

გაეროს გენერალური ასამბლეის და ევროსაბჭოს მიერ მიღებული ინსტრუმენტები აყალიბებენ მთელ რიგ რეკომენდაციებს იმ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რომლებიც უნდა გამოიყენონ სახელმწიფოებმა მონმეთა და დაზარალებულთა სისხლის სამართლის პროცესებში მონაწილეობისა და დაცვის უზრუნველსაყოფად. ეს მოიცავს რეკომენდაციებს მონმეთა და დაზარალებულთათვის მათი უფლებების გაცნობის შესახებ, არაადამიანური და ღირსებაშემლახველი მოპყრობისგან დაცვას როგორც სასამართლო დარბაზში, ისე მის გარეთ, დაცვის მიზნით სხვადასხვა საშუალებების გამოყენებას, მაგალითად როგორცაა მონმეთა დაცვის პროგრამების იმპლემენტაცია და მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე ხელმისაწვდომობა, მათ შორის ფსიქოლოგიური მხარდაჭერა, იურიდიული კონსულტაცია და სრული და ეფექტური რეპარაცია და რესტიტუცია. ამასთან, ევროსაბჭომ ხაზგასმით აღნიშნა ორი პრინციპი, რომლებიც სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, დაზარალებულებისა და მონმეების დაკითხვა მათი პირადი მდგომარეობის, უფლებებისა და ღირსების გათვალისწინებით და აუცილებელი კანონმდებლობისა და ღონისძიებების მიღების ვალდებულება მონმეთა დასაცავად და მხარდასაჭერად, რათა მათ თავისუფლად და დაშინების გარეშე მისცენ ჩვენება.<sup>40</sup>

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, დაზარალებულები სარგებლობენ გარკვეული უფლებებით სისხლის სამართალწარმოების პროცესში, რაც გულისხმობს დაზარალებულის მიმართ თანაგრძნობით მოპყრობის უფლებას, მათ შორის, ღირსების პატივისცემასა და გამოძიების მიმდინარეობის პროცესში ჩართულობას იმ ხარისხით, რაც აუცილებელია მათი კანონიერი ინტერესების დასაცავად. მათ აქვთ უფლება, თავიანთი შეხედულებები და პრობლემები წარმოდგენილი და გათვალისწინებული იყოს სისხლის სამართალწარმოების შესაბამის ეტაპზე ისე, რომ არ იქნეს ხელყოფილი ბრალდებულის უფლებები და ეროვნული სისხლის სამართლის სისტემა.<sup>41</sup>

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო დოკუმენტებში მოცემული დებულებები სამართლიანი სასამართლოს უფლებების შესახებ ცალსახად არ ეხებიან მონმეთა ან დაზარალებულთა უფლებებს, ადამიანის უფლებადამცველი ინსტიტუციები სულ უფრო და უფრო მეტად აღიარებენ ამ უფლებებს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მათ შესახებ აცხადებს, რომ სახელმწიფოებს და სასამართლოებს ეკისრებათ მონმეთა და დაზარალებულთათვის ისეთი ძირითადი ადამიანის უფლებების უზრუნველყოფის ვალდებულება, როგორცაა სიცოცხლის

<sup>40</sup> სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში საქართველო, ეუთო დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიურო, ვარშავა 2014წელი, 132-133;

<sup>41</sup> დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი 2016 წ., 23;

უფლება, მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და უფლება რომ არავინ არ უნდა დაეცემდებაროს არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას და ეს ვალდებულება ვრცელდება სამართალწარმოების ყველა ეტაპზე.<sup>42</sup> ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლო პროცესი უნდა იყოს სამართლიანი არამართო ბრალდებულის მდგომარეობის მიმართ, არამედ მოწმეებისა და დაზარალებულის მიმართაც. საქმეში Doorson v The Netherlands სასამართლომ აღნიშნა: „მართალია, ზოგადი მიდგომის შესაბამისად, კონვენციის მე-6 მუხლი არ მოიცავს მოწმეთა და დაზარალებულთა ინტერესების გათვალისწინებას, თუმცა შესაძლოა, მათი სიცოცხლე, თავისუფლება და უსაფრთხოებაც კითხვის ნიშნის ქვეშ აღმოჩნდეს. შესაბამისად, მსგავს შემთხვევაში სამართლიანი სასამართლოს პრინციპის მოთხოვნაა, რომ დაბალანდეს, ერთი მხრივ, დაცვის მხარისა და, მეორე მხრივ, მოწმეთა და დაზარალებულთა ინტერესები.“

სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება დაზარალებულთა მიმართ სასამართლომ ამოიკითხა აგრეთვე კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებში. დაზარალებულის ინდივიდუალური უფლება ეფექტურ გამოძიებაზე ასევე მოაზრებულია კონვენციის მე-13 მუხლში, რომელიც იცავს უფლებას კომპენსაციის მიღებაზე. საქმეში „Kaya v. Turkey“ (განაცხადი: 158/1996/777/978, 1998, პარ.107) სასამართლომ აღნიშნა, რომ სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, იგი გულისხმობს არამხოლოდ კომპენსაციის მიღების შესაძლებლობას, არამედ უფლებას ეფექტურ გამოძიებაზე, რომელიც ასევე პასუხისმგებელი პირის იდენტიფიცირებისა და დასჯის წინაპირობაა.<sup>43</sup>

ევრო საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1985 წლის 28 ივნისის რეკომენდაციაში No. R (85) 11 „სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში დაზარალებულის მდგომარეობის შესახებ“, რომელიც პრინციპების დონეზე განსაზღვრავს დაზარალებულის როლს პროცესის სხვადასხვა ეტაპზე, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია დაზარალებულის ინფორმირების მნიშვნელობაზე, როგორც გამოძიების, ისე სისხლისსამართლებრივი დევნისა და შემდგომში სასამართლო პროცესის ეტაპებზე. აგრეთვე, რეკომენდაციის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისას საკუთარი დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას ბრალმდებელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს დაზარალებულის ინტერესები და მისი კომპენსაციის საკითხი; დაზარალებულს უნდა ჰქონდეს დევნის არდაწყებაზე ბრალმდებლის გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება შესაბამის კომპეტენტურ ორგანოში. რაც შეეხება დაკითხვის პროცესს, დაცული უნდა იქნეს დაზარალებულის უფლებები და ღირსება, რის უზრუნველსაყოფადაც შესაძლოა იგი დაიკითხოს დისტანციური წესით.

<sup>42</sup> სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში საქართველო, ეუთო დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიურო, ვარშავა 2014წელი, 131;

<sup>43</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბერის გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1987 წლის 17 სექტემბრის რეკომენდაცია No. R (87) 18 „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების გამარტივების შესახებ“ წინა რეკომენდაციის მსგავსად, სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციის გათვალისწინებით, საუბრობს დაზარალებულის ინტერესების მხედველობაში მიღებაზე და კონკრეტული სახელმწიფოს სამართლებრივი ტრადიციების გათვალისწინებით, შესაძლებლადაა მიჩნეული მსხვერპლის მიერ პროკურორისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მოთხოვნა, ასევე კომპენსაციის მოთხოვნა სამოქალაქო წესით ან სისხლისსამართლის პროცესშივე.<sup>44</sup>

ევროპის კავშირის 2012/29/EU დირექტივით „დაზარალებულთა უფლებების მინიმალური სტანდარტების, მათი დახმარებისა და დაცვის შესახებ“, განსაზღვრულია ის მინიმალური უფლებები, რომლითაც სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებული უნდა სარგებლობდეს. სხვა ძირითად უფლებებთან ერთად, როგორებიცაა: ინფორმაციის მიღების, პირადი ცხოვრების და უსაფრთხოების დაცვის და სხვა, დადგენილია ასევე ორი მნიშვნელოვანი უფლება, რომელიც სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობას უკავშირდება. დირექტივით აღიარებულია დაზარალებულის უფლება, წარადგინოს მოსაზრებები სასამართლოში და, ასევე, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შემთხვევაში, დაზარალებულის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება. დირექტივის მე-10 მუხლით აღიარებულია დაზარალებულის უფლება, მოუსმინონ სასამართლო პროცესის დროს. შესაბამისი დირექტივის ინპლემენტაციის სახელმძღვანელო დოკუმენტში (Ref. Ares(2013)3763804 - 19/12/2013) მითითებულია, რომ მე-10 მუხლის მიზანია, სისხლის სამართლის პროცესში უზრუნველყოს ყველა დაზარალებული ინფორმაციის, შეხედულების და მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობით. შესაბამისი პროცედურული წესების (როდის და რა ფორმით მიეცემა დაზარალებულს ამის შესაძლებლობა) განსაზღვრის უფლება აქვს სახელმწიფოს, თუმცა ამგვარი უფლება შეიძლება გულისხმობდეს როგორც კომუნიკაციას და მტკიცებულების მიწოდებას კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოსთვის, ასევე უფრო ფართო უფლებებს, როგორიცაა უფლება, მის მიერ წარდგენილი მტკიცებულების გათვალისწინებასთან დაკავშირებით, ასევე უფლება, მტკიცებულება წარდგენილი იყოს სასამართლოში. დოკუმენტში მოცემულია ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს C 404/07 გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, სახელმწიფო ვალდებული არ არის, დაზარალებულს, როგორც კერძო ბრალმდებელს, მისცეს შესაძლებლობა, წარადგინოს მტკიცებულებები. თუმცა, ასეთი შესაძლებლობის არქონა სახელმწიფოს ავალდებულებს, დაზარალებულს მისცეს შესაძლებლობა, წარადგინოს ჩვენება სასამართლოში, რომელიც მიიღება მხედველობაში ისე, როგორც მტკიცებულება.

<sup>44</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

აღნიშნული უფლების დაცვის ერთ-ერთი მექანიზმია დაზარალებულისთვის შესაძლებლობის მიცემა, წარადგინოს „victim personal/impact statement (VPS)“, სადაც ის აღწერს იმ ემოციურ, ფიზიკურ და ფინანსურ ზიანს, რომელიც მას მიაღდა. ამგვარი ზიანის მხედველობაში მიღება სასჯელის განსაზღვრის დროსსავალდებულოა სასამართლოსთვის. ღირექტივის მე-11 მუხლით კი განისაზღვრება დაზარალებულის უფლებები იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდების მხარე იღებს გადაწყვეტილებას სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტასთან დაკავშირებით. ღირექტივის თანახმად, პროცედურული საკითხების მონესრიგება განეკუთვნება სახელმწიფოების ავტონომიას. თუმცა, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ დაზარალებულის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის გადაწყვეტილების გადახედვის შესაძლებლობა იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება მძიმე დანაშაულს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, სისხლისსამართლებრივი პროცედურები განერილი იყოს იმგვარად, რომ დაზარალებულს შეეძლოს, მოითხოვოს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების გადახედვა. ამგვარი პროცესი უნდა იყოს ნათელი, გამჭვირვალე და არ მოიცავდეს ბიუროკრატიულ პროცედურებს. განაჩენის გასაჩივრების საკითხთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ ღირექტივა არ ავალდებულებს სახელმწიფოებს, მისცეს დაზარალებულ პირს განაჩენის გასაჩივრების უფლება.

საერთაშორისო ორგანიზაციების ღირექტივები და რეკომენდაციები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ დაზარალებულის უფლებაზე, გაასაჩივროს/შეამონშოს სისხლისსამართლებრივი დევნის არდანყების/დევნის დაწყებაზე უარის თქმის თაობაზე შესაბამისი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. ერთია, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა სახელმწიფოს პრეროგატივაა, მას აქვს კომპეტენცია და შესაბამისი კომპეტენტური ორგანოები, რომლებმაც უნდა გამოიძიონ ნებისმიერი დანაშაული, გამოავლინონ დამნაშავე და მის მიმართ გამოიყენონ პასუხისმგებლობის პროპორციული ზომა, მაგრამ, იმავდროულად, ცხადია, სისტემა უნდა იყოს ეფექტურად აწყობილი საიმისოდ, რომ არსებობდეს როგორც გამოძიების დაწყება-არდანყების, ისე პროცესის და შედეგების სისწორის, მართლზომიერების შემონგების შესაძლებლობა, რადგან კონტროლის ბერკეტების არარსებობა არის თავისთავადი პროვოკაცია ინდიფერენტული მიდგომისა და, შედეგად, შეცდომისთვის, ისევე როგორც თვითნებობისა თუ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისთვის. შედეგად, ზიანი აღდება როგორც კერძო, ისე საჯარო ინტერესს. მნიშვნელოვანია, არსებობდეს სახელმწიფოს კონტროლის მექანიზმები, რათა მან არ დაუშვას შეცდომა ან თვალის არ დახუჭოს მასზე. ამიტომ, დაზარალებულს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, გადაამონშოს დევნის დაწყებაზე უარის საფუძვლიანობა, კანონიერება, ცხადია, ისევე სახელმწიფო ორგანოების მეშვეობით. სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, დაასაბუთოს, რომ არ არსებობდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლები კონკრეტულ ფაქტზე ან/და კონკრეტული პირის მიმართ დევნის დასაწყებად. იმავე მოთხოვნების არსებობა საფუძვლიანია

დევნის შეწყვეტის გადაწყვეტილების გადასინჯვის შესაძლებლობასთან/აუცილებლობასთან დაკავშირებით. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღება ეთმობაგამოძიების აქტების კანონიერების სასამართლოში გასაჩივრების გზით შემოწმებას. სასამართლო კონტროლი არის ყველაზე ძლიერი და ეფექტური გზა, პროკურორი აიძულოს, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისასიყოს მიუკერძოებელი.<sup>45</sup>

## დასკვნა

სახელმწიფომ დანაშაულის დასჯის მონოპოლიის განხორციელების პარალელურად უნდა გაითვალისწინოს დაზარალებულის კანონიერი ინტერესები და მოთხოვნები. სამართლებრივი სახელმწიფო ვალდებულია განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს დანაშაულის მსხვერპლს და მისცეს მას მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში კონსტიტუციით დაცული ძირითადი უფლებებისა და ინტერესების რეალიზაციის შესაძლებლობა. იმ შემთხვევაში, თუკი სახელმწიფო აღნიშნულ ვალდებულებას არ შეასრულებს და დაზარალებულის ინტერესებს უგულებელყოფს, ამას შედეგად მართლმსაჯულებისა და მართლწესრიგის მიმართ მოსახლეობის ნდობის დაკარგვა მოჰყვება. თუკი კონკრეტულ შემთხვევაში სახელმწიფომ ვერ შეძლო კრიმინალური ქმედებისგან მოქალაქის დაცვა, მან უნდა იზრუნოს იმაზე, რომ მინიმუმამდე დაიყვანოს იმ ზიანის შესაძლებლობა, რაც დანაშაულის მსხვერპლს დანაშაულის დევნისას სახელმწიფო ორგანოების მიერ განხორციელებული სამართლებრივი ღონისძიებების შედეგად შეიძლება მიაღწეს.<sup>46</sup>

მართალია 2014 წლის ცვლილებებისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილების შედეგად, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა დაზარალებულის მდგომარეობა სისხლის სამართლის

<sup>45</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

<sup>46</sup> გიორგი თუმანიშვილი, დაზარალებული თანამედროვე სისხლის საპროცესო სამართალში, სამართლის ურნალი N2, 2009წ, 65;

პროცესში, თუმცა სახელმწიფო ორგანოები და სასამართლო უწყებები მაინც მნიშვნელოვანი სამართლებრივი ხარვეზებით მოქმედებენ დაზარალებულის უფლებების მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულის ცნობასთან დაკავშირებით კანონმდებლობა გამოსწორდა, დაზარალებულად ცნობის შემდეგაც მნიშვნელოვანი პრობლემები არსებობს სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის კუთხით.

ასევე, საყურადღებოა, რომ დაზარალებულს, დღეის მდგომარეობითაც, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, არ აქვს უფლება სასამართლოში გაასაჩივროს პროკურორის შემაჯამებელი გადაწყვეტილებები

ამრიგად, სახელმწიფომ, რომელსაც აქვს მონოპოლია დამნაშავეს გასამართლებასა და კანონის თარგლებში დასჯაზე, მართლმსაჯულების პროცესის განხორციელების დროს არ უნდა დაივიწყოს დაზარალებული და მისი კანონიერი ინტერესი. კერძოდ, მან ხელმისაწვდომი და გასაგები უნდა გახადოს დაზარალებულისათვის მართლმსაჯულების განხორციელების პროცესი და მისცეს მას პრაქტიკული შესაძლებლობა, ისარგებლოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნული მინიმალური ვალდებულების შეუსრულებლობა და დაზარალებულის ინტერესების უგულებელყოფა, მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს საზოგადოების ნდობასა და პატივისცემას სისხლის სამართალწარმოებისა და მასში მონაწილე სუბიექტების მიმართ.<sup>47</sup>

## ბიბლიოგრაფია

### ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი - 2009 წლის 09 ოქტომბერი;
2. 1998 წლის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი - 1998 წლის 20 თებერვალი;

---

<sup>47</sup> დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, ახალგაზრდა იურისიტთა ასოციაცია, თბილისი, 2014წ.;

3. საქართველოს კანონი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ - 2018 წლის 21 ივლისი;
4. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N181, სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ - 2010 წლის 08 ოქტომბერი;

სამეცნიერო ლიტერატურა:

1. დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, ავტ. კ.ფ. გუცენკო, ლ.ვ. გოლოვკო, ბ.ა. ფილიმონოვი, რედ. ქ. შიუკაშვილი თბილისი 2007წ.
2. სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), თბილისი, 2009წ, მეორე გამოცემა, ავტორთა კოლექტივი, რეზო გოგშელიძის რედაქტორობით;
3. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, 2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ზაზა მეიშვილი, ომარ ჯორბენაძე, თბილისი 2007წ.
4. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, 2015 წლის 01 ოქტომბრის მდგომარეობით, ავტორთა კოლექტივი, რედ. გიორგი გიორგაძე, თბილისი, 2015წ.
5. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (გამოძიების სტადიაზე), ბესიკ მეურმიშვილი, თბილისი, 2014წ;
6. სისხლის სამართლის საქმისა და სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, შ. ფაფიაშვილი, თბილისი, 1999წ.

საგაზეთო პუბლიკაციები:

1. შეჯიბრებითობის პრინციპის ფარგლები სისხლის სამართლის საქმეებში: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილების ანალიზი, ზაზა თავაძე, 2018 წლის 22 თებერვალი;
2. დაზარალებული თანამედროვე სისხლის საპროცესო სამართალში, გ. თუმანიშვილი, სამართლის ჟურნალი N2, 2009წ.
3. ზიანი, როგორც საფუძველი პირის დაზარალებულად ცნობისთვის, ანზორ მახარაძე, მართლმსაჯულება და კანონი N1, 2009წ.

ინტერნეტრესურსები:

1. დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი 2016 წ. - <https://gyla.ge/files/news/2016%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%>



[A1%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%90/dazaralebulis%20uflebebi.pdf](http://www.sazogadoeba.ge/index.php?post_id=2293) - 2019 წლის 06 ივნისი;

- სასამართლო სამედიცინო ექსპერტის მაია ნიკოლეიშვილის ინტერვიუ; [http://www.sazogadoeba.ge/index.php?post\\_id=2293](http://www.sazogadoeba.ge/index.php?post_id=2293) - 2019 წლის 06 ივნისი;

#### ანგარიშები:

- სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში საქართველო, ეუთო დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიურო, ვარშავა 2014წელი - <https://www.osce.org/ka/odihr/130686?download=true>

#### სასამართლო გადაწყვეტილებები:

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება - საქართველოს მოქალაქეები - ხვიჩა ყირმიზაშვილი, ვია ფაცურია და გვანცა გავნიაშვილი და „შპს ნიკანი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება 2016 წლის 30 სექტემბერი, ქ. ბათუმი, 2016 წლის 30 სექტემბერი, საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;